ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## „წამებში უნდა დაძრულიყო მატარებელი. ახლაც მაკანკალებს, ის სურათი რომ მახსენდება“

როგორ გადაარჩინა ირაკლი კვირკველიამ 5 წლის გოგონა სიკვდილს

გვ.7



ორშაბათი, 3 სექტემბერი, 2018 №208 (7753) ფასი: 60 თეთრი

# „ოცნების“ ნაწილი მარგველაშვილთან და უსუფაშვილთან ალიანსს შექმნის“



გვ.3

„ივანიშვილი მმართველ პარტიას გოგაშვილის მეშვეობით გააკონტროლებს“



## ლადო სადღობელაშვილი: „უპატრონოდ დარჩენილი ნაცები და ევროქოცები გაერთიანდებიან“

## მამუკა ტუსკაძე: „პარლამენტში დეპუტატების რაოდენობა 100-მდე უნდა შემცირდეს“



დაახლოებით 18 დეპუტატი წელიწადში პარლამენტის შენობაში 4-ჯერ მიდის – გახსნის დღეს, დახურვის დღეს და, კონსტიტუცია რომ მიიღეს, ისეთ დღეს, დანარჩენ შემთხვევაში არ დადის.

გვ.4



გვ.3

## სიგარეტის ღერებით გაყიდვა, დახლზე განთავსება და გათამაშება აიკრძალა

## დაუახლოვდება თუ არა საქართველო იაპონიას პოლიტიკურად?

გვ.5



### სამართალი



„არ ჩამითვლია საჭიროდ, რომ რამე განმეხორციელებინა“ გვ.7

51-ე სკოლა ხორავას ქუჩის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას იხსნის



„ეროვნული ერთობის“ წევრ გიორგი ქელიძეს ბრალი წარედგინა



იტალიაში ქართველი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს

### ეკონომიკა

გვ.6

დიღმის ჭალებში ახალი პარკის პროექტის მოსამზადებლად 310.000 ლარი გამოიყო



გუდაური ინფრასტრუქტურული პრობლემების პირისპირ — „კურორტი 3 სეზონის განმავლობაში საშინელი სანახავია“

სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის ახალი წესები ამოქმედდა



ISSN 1987-9385

2 აფხაზეთიც მიიღებს ავტოკეფალიას. ეს აზრი სრული სიცრუე და სისულელეა — დეკანოზი ილია ჭიღლაძე

8 ვინ მოკლა ზახარჩენკო?! წმინდა რუსული მკვლელობა

7 საქართველოს მოქალაქეს საზღვარზე ჩემოდნით უზბეკი ქალი გადაჰყავდა

8 სლოვაკეთი: რუსი ჯარისკაცის მიერ მოკლული გოგონა წმინდანად შერაცხეს

# „აქვს ხუთი ლაიქი და გაბრალებს ასეთ რაღაცას“ — მამუკა მდინარაძე გიგი უგულავას



ხორავას ქუჩის საქმეზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომას მმართველი გუნდი კვლავ არ დაესწრო. მიზეზი კი, როგორც მამუკა მდინარაძე განმარტავს, სამზადისია, რომლის შემდეგაც კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ საკუთარ განსხვავებულ მოსაზრებებს წარადგენს.

მამუკა მდინარაძე „ევროპული საქართველოს“ წევრის გიგი უგულავას Facebook-ის პოსტსაც ეხმაურება. საუბარია უგულავას განცხადებაზე, რომელიც წერს, რომ „ქართული ოცნება“ პარტიული იარლიყების მიწებებით არის დაკავებული და ამ გზით გარკვეული პირებისთვის ხელის დაფარებას ცდილობს.

— ორშაბათს მივდივართ ჩვენი განსხვავებული მოსაზრებებით და კადრულობენ საშინელებებს რომ ჩაერთონ კომისიის მუშაობაში და ამ ტრაგედიით მანიპულირებენ. არ არის სწორი ეს ყველაფერი. აცებოოკ-ის რალაცაზე, რომელსაც აქვს 5 ლაიქი და გაბრალებს ადამიანი ისეთ რაღაცას... ერთი მიშა სააკაშვილმა იკადრა ეგ ყველაფერი და რაღაც ისიც მინიშნებით თქვა რაღაც მაშინ და მეორე, ამდენი წლის მერე იკადრა გიგი უგულავამ. რაღაცა საშინელება ოღონდ კი თავისიანები „გააპრავოს“ და ამაზე უნდა ვაკეთო სერიოზული კომენტარები? — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

❖ ❖ ❖

„მილიციიდან ქრთამის აღების გამო გაგდებულო ძაღლო“ — უგულავა მდინარაძეს

ევროპული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა სოციალურ ქსელში ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობას ეხმაურება და კომისიის ერთ წევრს, ქართული ოცნების წარმომადგენელს მამუკა მდინარეს აკრიტიკებს. მისი თქმით, ის ცდილობს, პარტიული იარლიყების მიწებებით დამნაშავეები „გამოაძვრინოს“.

— მილიციიდან ქრთამის აღების გამო გაგდებულო ძაღლო“ — მოგწონთ ასე დაძახება? მე — ცალსახად არა. ფორმალურ სიმართლეს არ აქვს მნიშვნელობა. ვინ მართალია, ვინ მტყუანი. საჯარო პირებს თმენის ვალდებულება გვაქვს. უბრალოდ, უსინდისობაა, როცა ამხელა ტრაგედიის გამოძიება დაგევალა და პარტიული იარლიყების მიწებებით ცდილობ, დამნაშავეები გამოაძვრინო. იყურეთ მუდმივად წარსულში, ამით თავად აქრობთ თქვენს ადგილს მომავალში. საზოგადოება მალე გაიგებს სრულ სიმართლეს ხორავას ქუჩის ტრაგედიისა და ხელის დამფარებელთა შესახებ. მტკიცებულებებზე დაფუძნებული სიმართლე სიმართლეა, ის მწარეა ბევრისთვის და ტკბილი არავისთვის. ან როგორ შეიძლება, აქ რამე ტკბილი იყოს! — წერს გიგი უგულავა.

შეგახსენებთ, რომ მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში სერგი კაპანაძის იმ მოწოდებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ის უმრავლესობის წევრებს მოუწოდებს, კომისიის სხდომას შეუერთდნენ.

— ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი დანაყოფის წევრები მათი ჩავარდნის გადასაფარად გაუგონარ სპეკულაციაზე მიდიან. ისინი უკვე ექვსი წელია ხელისუფლებაში აღარ არიან და კიდევ ვერ მიხვდნენ, რომ ადამიანის ტრაგედია მაინც არ უნდა გამოიყენო პოლიტიკური მიზნებისთვის!

ხალხი ელოდა აბსოლუტურად განსხვავებულ შედეგს — ჭეშმარიტების დადგენას და არა მათ პოლიტიკურ პროგრამას.

მოცემულ შემთხვევაში ორდღიან, მოკლეფეხებიან ტყუილსაც არ ერიდებიან და საზოგადოების დაჯერებას ცდილობენ, თითქოს ჩვენ კომისიის ბოიკოტირებას ვახდენთ. ურცხვად მოგვიწოდებენ, რომ შევუერთდეთ კომისიის მუშაობას. ეს მაშინ, როდესაც სხდომაზევე დავაფიქსირეთ, რომ ბოლო მომენტში გადმოგზავნილ, საშინლად არაკომპეტენტურ და პოლიტიკურად ანგაჟირებულ დასკვნის პროექტზეც კი განსხვავებულ მოსაზრებებს ორშაბათსვე წარმოვადგენდით... — წერს მამუკა მდინარაძე.

# სარალიძის ადვოკატი: „ერთმანეთთან დაპირისპირება გაურკვეველი პოლიტიკური მოტივებით არ უნდა ხდებოდეს“



ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის ოჯახის ადვოკატ ნესტან ლონდარიძის თქმით, უმრავლესობა დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომას განგებ არ ესწრება, ამით საქმის ობიექტურ გამოძიებას ხელს უშლის და ადგილი აქვს კონკრეტული დამნაშავეებისთვის ხელის დაფარების მცდელობას.

— აღნიშნული დოკუმენტები მტკიცებულების სახით რომ ყოფილიყო დამაგრებული საქმეზე და პროკურატურას თავის დროზე სამართლიანად ემსჯელა წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, დღეს არ მივიდოდა ეს პროცესები ამ მდგომარეობამდე, არ მივიღებდით გამწვავებულ პროცესებს და მეორე ცვლის იმას, რომ გვიჩნდება იმედი, რომ დღეს მაინც დადგინდება ჭეშმარიტება თუმცა ვხედავთ საგამოძიებო კომისიის წევრების გამიჯვნას რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. არ უნდა ხდებოდეს ერთმანეთთან დაპირისპირება გაურკვეველი პოლიტიკური მოტივებით, — აცხადებას ადვოკატი ნესტან ლონდარიძე.

# უმიწო, უმანქანო, უსახლკარო მერი კასპში



კასპის მუნიციპალიტეტის მერ მანუჩარ მერებაშვილს ოფიციალურად არც სახლი აქვს, არც მიწის ნაკვეთი, არც მანქანა, არც კომპანია. ამის შესახებ ქონებრივ დეკლარაციაში წერია, რომელიც ამჟამინდელმა მერიამ 2014 წლიდან დღემდე შეავსო.

ის მერად 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე აირჩიეს, ხოლო მანამდე 2016-2017 წწ-ში საკრებულოს თავმჯდომარე იყო. 2014-2016 წწ-ში კი ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი.

2018 წელს შევსებულ დეკლარაციაში ის ერთადერთი მანქანა აღარ ჩანს, რომელიც წინა დეკლარაციებში ფიქსირდება და 2001 წლის გამოშვება იყო.

ხელფასი:
2015 წელს – 17.550 ლარი
2016 წელს – 27.900 ლარი
2017 წელს – 31.799 ლარი

ჯამში, 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, 83.729 ლარი შეადგინა.

მანუჩარ მერებაშვილი დაიბადა 1986 წლის 6 ივლისს; 2003 წელს დაამთავრა კასპის №3 საშუალო სკოლა; 2007 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი და მიენიჭა საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; 2010 წელს მიენიჭა საინჟინრო მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი; 2014 წელს მიენიჭა ბიზნესადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი; 2005-2013 წლებში მუშაობდა „საქართველოს რკინიგზაში.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს კასპის მერიიდან დაუკავშირდნენ და განაცხადეს, რომ ავტომანქანა მიმდინარე წელს დეკლარაციაში მითითებული არ არის იმიტომ, რომ ქონება არ აღემატება 10 ათასს ლარს.

**ქართლი.გე**

# აფხაზეთიც მიიღებს ავტოკეფალიას. ეს აზრი სრული სიცრუე და სისულელეა — დეკანოზი ილია ჭიღლაძე



დეკანოზი ილია ჭიღლაძე სოციალურ ქსელში მსოფლიო პატრიარქის მიერ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ეხმაურება.

— დღეს ზოგიერთებისგან ვრცელდება მცდარი აზრი და ცრუ შიში ქართველ საზოგადოებაში, რომ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსგან უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალურად გამოცხადება იმოქმედებს აფხაზეთის ეპარქიის საკითხზე და აფხაზეთიც მიიღებს ავტოკეფალიას. რატომაა ეს აზრი სრული სიცრუე და სისულელე?!

1. აფხაზეთი არ წარმადგენს საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ სახელმწიფოს, მაშინ როდესაც ძლიერი სახელმწიფოებრიობაა ავტოკეფალური ადგილობრივი ეკლესიის ჩამოყალიბების ერთერთი უმთავრესი საფუძველი და მიზეზი;

2. სეპარატისტული აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლება ცალსახად რუსული რეჟიმია და ის არ დაუშვებს აფხაზეთის მართლმადიდებლობაში კონსტანტინოპოლის გაძლიერებას და მოსკოვის საპატრიარქოს გავლენების შემცირებას;

3. მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა წინა წლის დეკემბერში ტვ იმედისათვის მიცემულ ინტერვიუში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადა, რომ აფხაზეთის ეპარქია საქართველოს საპატრიარქოს კანონიკური ტერიტორიაა და არანაირად არ განიხილება ავტოკეფალიის მინიჭება, ასევე კონსტანტინოპოლისათვის (გინდ სხვა საპატრიარქოსადმი) მისი მიერთების სურვილი გამორიცხულია. ყოვლადუწმინდესი ბართლომეოსი სიტყვის კაცია, განსხვავებით რუსეთის პატრიარქ კირილესაგან. ბართლომეოსის ყოველი სიტყვა არის „ასჯერ აწონილი და ათასჯერ გაზომილი“ და ის არ იცვლება (კირილე რომ სიტყვის კაცი არაა, კრეტის კრებაზეც გამოჩნდა: კრების წინა თვეებში ამბობდა, კრებაზე მივდივარო, მართლმადიდებელთა ერთობას მთელს მსოფლიოს ვაჩვენებთო და ბოლოს, გამგზავრების წინა დღეებში გადათქვა და ობსტრუქცია მოაწყო, რითაც მთელს მსოფლიოს აჩვენა მართლმადიდებელთა არაერთსულოვნება, დააკნინა მართლმადიდებლობა და ნახევარი საუკუნის მანძილზე ნამზადები დიდი კრება).

4. როგორ შეიძლება 40 მილიონიან უკრაინის სახელმწიფოს შევადაროთ ჯუჯა აფხაზეთი და მისი პატარა ეპარქია, სადაც მართლმადიდებლობა არცაა აბსოლუტურ უმრავლესობაში და ისლამი, აფხაზური წარმართობა და სომხური სარწმუნოება მას არ ჩამორჩება რაოდენობით?!

5. კონსტანტინოპოლს არაფერში სჭირდება საქართველოს საპატრიარქოს და ქართველი ერის მომდურება და სამტროდ განაწყენება. ეს თუ ვინმეს აწყობს და უნდა, ისევ იმპერიალისტური რუსეთია!

6. ოპონენტებს არგუმენტად მოაქვთ პროკონსტანტინოპოლურად განწყობილი, რუსებისგან ნაკურთხი და მერე მათგან გამდგარი (იქნებ რუსული ფსბ-ს კარნახითაც) აფხაზი სასულიერო პირის, დოროთე დბარის ვიზიტი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოქალაქეებს ყანებიდან მარცვლეული კულტურის აღების შემდეგ განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

რეგიონებში მარცვლეული კულტურის მოსავლის აღების შემდეგ მოქალაქეები ყანების დასუფთავების მიზნით ტერიტორიებს წვავენ. ბოლო პერიოდში გახშირდა ფაქტები, როდესაც მეტეოროლოგიური ან სხვა მიზეზების გამო ხდება ცეცხლის გავრცელება მასშტაბურ ტერიტორიებზე და მოქალაქეები ველარ ახერხებენ შეგნებულად დანთებული ცეცხლის შეკავებას.




ასევე გახშირდა შემთხვევები, როდესაც ასეთ დროს, დაგვიანებით ხდება სახანძრო ბრიგადების გამოძახება, რის გამოც საფრთხე ექმნება ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებს, მინდვრებსა და ტყის მასივებს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ პასუხისმგებლობა და მეტი სიფრთხილე, რათა არ დააზიანოთ ბუნება და არ შეუქმნათ საფრთხე ახლომდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეების ქონებას, — ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნების“ ნაწილი მარგველაშვილთან და უსუფაშვილთან ალიანსს შექმნის“




## „ივანიშვილი მმართველ პარტიას გოგაშვილის მეშვეობით გააკონტროლებს“




შორენა მარსაგიშვილი

მმართველი პარტიისა და „ევროპული საქართველოს“ სიამტკბილობაზე ლამისაა სიმღერები დაიწეროს. აქამდე ისინი მშვიდად თანაცხოვრობდნენ, მაგრამ ბოლო დღეებში ძალიან დაეძაბათ ურთიერთობა.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ „ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს წარსული გაუხსენა და მას ქრთამის აღების გამო „მილიციიდან გაგდებული ძაღლი“ უწოდა.

სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი მმართველ პარტიასა და „ევროპულ საქართველოს“ შორის დაპირისპირების დაწყებას კვირიკაშვილის წასვლისთანავე წინასწარმეტყველებდა.

რა შუაშია კვირიკაშვილი, რა თამაში მიმდინარეობს ქართულ პოლიტიკაში, რატომ აღარ ენდობა „ოცნებას“ ივანიშვილი? – ამის შესახებ ლადო სადღობელაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– ბოლო დღეებში „ქართული ოცნება“ და „ევროპული საქართველო“ ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ. მათ შორის რეალურად არსებობს დაპირისპირება თუ ეს ყველაფერი იმ ჭორების გადასაფარად ხდება, რაც ამ ორ პარტიაზე ვრცელდება?***

– ქოცები და ევროქოცები 2016 წლის ბოლოდან არიან სიამტკბილობაში. მათ შორის ურთიერთობის დატკბობა გიორგი კვირიკაშვილის დამსახურებაა. მე ადრეც არაერთხელ მითქვამს, რომ „ევროპული საქართველო“ ყოფილი პრემიერის შექმნილია.

როდესაც ის ივანიშვილმა პრემიერად გაამწესა, მან მოიტანა ახალი პროექტები. ერთ-ერთი პროექტი იყო ნაციონალების დაშლა. ივანიშვილს ეს აწყობდა და თავის ხელქვეითს მოქმედების თავისუფლება მისცა.

თავისი გეგმის განხორციელება ყოფილმა პრემიერმა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეძლო. ყოფილი ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო იყო. პარტიის ნაწილი პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობდა და ქუჩის აქციებს ითხოვდა. მაშინ ბოკერიას ფრთამ იმარჯვა და პარლამენტში შევიდა პარტია.

ბოკერიას ფრთასთან გამუდმებით მიდიოდა მოლაპარაკებები. მათ შესთავაზეს, რომ მიხეილ სააკაშვილი პარტიის თავმჯდომარეობიდან გადაეყენებინათ. ეს ევროქოცებმა ვერ შეძლეს, რის შემდეგაც ნაცმოძრაობა დატოვეს და ახალი პარტია შექმნეს. „ევროპული საქართველოსა“ და „ქართული ოცნების“ თანამშრომლობა ყველასთვის აშკარა იყო.

გიორგი კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგ სურათი შეიცვალა. „ევროპულ საქართველოს“ ხელისუფლებაში მფარველი აღარ ჰყავს. ამის გამო ისინი ძალიან გაღიზიანებულები არიან. „ოცნებასთან“ ძალიან მალე სერიოზული დაპირისპირება ექნებათ.

***– ეს დაპირისპირება „ევროპული საქართველოს“ ნაცმოძრაობის წიაღში დაბრუნებას ხომ არ შეუწყობს ხელს?***

– არაფერია გამორიცხული. ნაცები და ევროქოცები ნებისმიერ წამს შეიძლება გაერთიანდნენ. მათ შეთანხმებაც კი აქვთ გაფორმებული. ეს შეთანხმება მაშინ გაფორმდა, როცა კვირიკაშვილს ცუდად წაუვიდა საქმე. „ოცნება“ ევროქოცებისგან თავდასხმებს უნდა ელოდოს. სათქმელი ყოფილ ხელისუფლებას ბევრი აქვს. მმართველი გუნდი, შესაძლოა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

***– რა უნდა წამოაძახონ ევროქოცებმა ქოცებს ისეთი, რომ ცუდ მდგომარეობაში ჩააგდონ?***

– აქ მარტო ევროქოცები არ არიან შუაში. თავად „ოცნებაშია“ დაპირისპირება. მართალია, პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი მამუკა ბახტაძეს, მაგრამ ქოცების დიდ ნაწილს ის არ მოსწონს.

***– ფიქრობთ, რომ ბახტაძეს აუხირდებიან?***

– ხმამაღლა არაფერს იტყვიან, მაგრამ ინტრიგები იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნება“ დეპუტატების ნაწილმა დატოვოს.

***– ევროქოცებივით ახალ პარტიას შექმნიან თუ ევროქოცებს შეუერთდებიან? მეოცნებეთა დიდი ნაწილი ყოფილი ნაციონალია და ერთმანეთის გაგება არ გაუჭირდებათ.***

## ლადო სადღობელაშვილი: „უპატრონოდ დარჩენილი ნაცები და ევროქოცები გაერთიანდებიან“



– ძირითადად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, მაგრამ „ოცნებიდან“ წამოსვლის შემდეგ არც ნაცებსა და არც ევროქოცებს არ შეუერთდებიან. ისინი გიორგი მარგველაშვილთან და დავით უსუფაშვილთან ერთად შექმნიან ალიანსს. ეს ალიანსი საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

***– როდისთვის უნდა ველოდოთ ამ ალიანსის შექმნას?***

– მომავალი წლის შემოდგომისთვის. კიდევ გიმეორებთ, ეს ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

***– რატომ გგონიათ, რომ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება?***

– მათ ივანიშვილი მხარს დაუჭერს. 2020 წლის არჩევნების შემდეგ ჩვენ პარლამენტში 3 ძლიერი სუბიექტი გვეყოლება. ესენი იქნებიან „ოცნება“, „ოცნებიდან“ წამოსულები და ყოფილი ხელისუფლება.

***– ყოფილ ხელისუფლებაში რომელ პარტიას გულისხმობთ, „ევროპულ საქართველოს“ თუ ნაციონალებს?***

– ეგენი, სავარაუდოდ, ერთად იქნებიან. ყველაფერი იქით მიდის, რომ გაერთიანდებიან. ეს, შესაძლოა, ამ შემოდგომაზეც მოხდეს.

***– ნაციონალები მოინდომებენ მათთან შეერთებას? ერთმანეთს ძალიან ბევრი აგინეს.***

– შეიძლება არც უნდათ, მაგრამ კარგად იციან, რომ სხვა გზა არა აქვთ.

***– რატომ არა აქვთ სხვა გზა?***

– პატრონი მოუკვდათ. მათი მფარველი იყო სენატორი მაკკეინი. ის აღარ არის ცოცხალი და ნაციონალებიც უპატრონოდ რჩებიან. გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ ინტერესებშიც შედის. არც მაგათ პატრონს აქვს საქმე კარგად.

***– მაგათ პატრონში კვირიკაშვილს გულისხმობთ?***

– კვირიკაშვილი უკვე წარსულია. სოროსზე მოგახსენებთ, ბოკერიას გუნდი ამ კაცთან არის ასოცირებული. ტრამპმა სოროსს სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა. საქმე ისე მიდის, რომ ეს ადამიანი ევროქოცებისთვის ვეღარ მოიცლის. უპატრონოდ დარჩენილი ნაცები და ევროქოცები იძულებული იქნებიან, გაერთიანდნენ.

ამ ორი პარტიის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებენ „ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი.

***– მაგათ რაღა ჯანდაბად უნდათ ამ ორი პარტიის შენარჩუნება?***

– ეს „ქართული ოცნების“ გადასარჩენად არის საჭირო. „ოცნების“ არსებობა ნაცებზეა დამოკიდებული. ნაცები თუ პოლიტიკიდან გაქრნენ, მეორე დღეს იგივე მოუვა „ქართულ ოცნებას“.

ამ პარტიაში ისედაც ძალიან ბევრი პრობლემაა და, შესაძლოა, ნაცების გაქრობამდე დაიშალონ.

***– რა პრობლემებია?***

– ძალიან ბევრი, იმდენად მძიმედ არის საქმე, რომ ივანიშვილი პარტიასა და მთავრობას უკვე თავისი რწმუნებულებით მართავს. ეს კაცი აღარავის ენდობა. ჩემი აზრით, სოსო გოგაშვილი სწორედ ამიტომ გადაიყვანა პარტიაში.

***– გავრცელებული ინფორმაციით, სუსის უფროსის ყოფილი მოადგილე „ოცნების“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დაინიშნა. ეს მისთვის დაქვეითება არ არის?***

– ნამდვილად დაქვეითებაა, მაგრამ ბიძინას ასე სჭირდება. „ოცნებაში“ სიტუაციას გოგაშვილის ხელით გააკონტროლებს.

***– გოგაშვილს ასე ენდობა?***

– გამოდის, რომ ენდობა. მას ამ თანამდებობაზე რეკომენდაცია დიტო სამხარაძემ გაუწია. ივანიშვილი აღარც მთავრობას ენდობა.

# სიგარეტის ღერებით გაყიდვა, დახლზე განთავსება და გათამაშება აიკრძალა

პირველი სექტემბრიდან სავაჭრო ობიექტებში თამბაქოს რეალიზაციისა და განთავსების ახალი რეგულაციები ამოქმედდა. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის თანახმად, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია და განლაგება ვიტრინაზე, ვიტრაჟზე, დახლზე, თაროზე ან სხვაგვარად, ისე, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის გარედან. დარღვევაზე ჯარიმა 2.000 ლარია, განმეორებისას კი – 4.000 ლარი.

ამ წესიდან გამონაკლისია სიგარეტის ასანთები სანთებელა, საფერფლე და პორტსიგარა, რომელზეც არ არის ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან დასახელება; ასევე, აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში თამბაქოს ნაწარმის, აქსესუარის ან მოწყობილობის რეალიზაცია და განლაგება.

აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის ან თამბაქოს აქსესუარის რეალიზაცია შესაბამისი ობიექტიდან მისი სატრანსპორტო საშუალებაში მსხდომთათვის უშუალო მიწოდებით – ე.წ. დრაივ თამბაქო. დარღვევაზე ჯარიმა 2.000 ლარი, განმეორებისას კი 4.000 ლარია.

აკრძალულია სასწავლო და საალმზრდელო დაწესებულებებიდან 50 მეტრის რადიუსში თამბაქოს რეალიზაცია – ჯარიმა 200 ლარი, განმეორებისას ჯარიმა ორმაგდება. 150 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს თამბაქოს ღერებით ან შეფუთვის გარეშე გაყიდვა, ხოლო სამართალდარღვევის გამეორების შემთხვევაში ჯარიმა 300 ლარამდე გაიზრდება.

აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის ან თამბაქოს აქსესუარის რეალიზაცია 18 წლამდე პირებზე. სამართალდარღვევა გამოიწვევს 150 ლარით დაჯარიმებას, განმეორებისას კი ჯარიმა 300 ლარია.

იკრძალება ელექტრონული ან მექანიკური აპარატით თამბაქოს რეალიზაცია – ჯარიმა 2.000 ლარია, აპარატში არსებული ნაწარმის კონფისკაციით, განმეორებისას კი 400 ლარი, ასევე აპარატში არსებული ნაწარმის კონფისკაციით.



ინტერნეტით ან ფოსტით თამბაქოს რეალიზაციისთვის 2.000 ლარის ოდენობით ჯარიმაა გათვალისწინებული, განმეორებისას კი 4.000 ლარი.

აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან გათამაშება. სამართალდარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2.000 ლარის ოდენობით, უკანონო თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის, სარეკლამო პროდუქციისა და საშუალების კონფისკაციით.

თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში არანაკლებ 4 ფორმატის ქაღალდზე უნდა განთავსდეს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება და თამბაქოს მოხმარებაზე უარის თქმის მსურველთათვის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი კონსულტაციის მისაღებად, აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 18 წლამდე ასაკის პირისთვის თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის მიყიდვა აკრძალულია.

პირველი სექტემბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული თამბაქოს ნაწარმი ექვემდებარება შეფუთვისა და დიზაინის კანონით დადგენილ სტანდარტებს, რაც გულისხმობს ძირითადი და დამატებითი სამედიცინო გაფრთხილებების დატანას თამბაქოს ნაწარმის თითოეულ ყუთსა და კოლოფზე.

ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ახორციელებს.

# აფხაზეთიც მიიღებს ავტოკეფალიას. ეს აზრი სრული სიცრუე და სისულელეა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მსოფლიო პატრიარქთან და ერთობლივად გადაღებული ფოტოები. მაგრამ ოპონენტებს ავიწყდებათ, რომ მსოფლიო პატრიარქთან აუდიენცია ყველა ქრისტიანს მარტივად შეუძლია და არც ფოტოების მასთან გადაღებაა „რჩეულთა“ პატივი და ფუფუნება.

7. თუ საიდანმე მოდის საფრთხე, ესაა მოსკოვის საპატრიარქო, რომელიც დე ფაქტოდ აკონტროლებს აფხაზეთის ეპარქიას, დაპყრობილი აქვს ყველა ეკლესია-მონასტერი (გარდა ახალი ათონის მონასტრისა) და 15-ამდე მღვდელი ჰყავს აფხაზეთში. მაგრამ მოსკოვის საპატრიარქოს ქმედებებს აფხაზეთის ეპარქიის მისატაცებლად კანონიკური კუთხით იგივე ფასი აქვს, რაც პუტინის რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტების აღიარებას საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში! – წერს დეკანოზი ილია ჭიღლაძე.

# მამუკა ტუსკაძე: „პარლამენტში დეპუტატების რაოდენობა 100-მდე უნდა შემცირდეს“

გულიკო ბალაძე



უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 100-მდე შემცირებას ითხოვს. ამ მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართა. მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კვლევებით დასტურდება, რომ პარლამენტის წევრთა 15%, საერთოდ, არ დადის პარლამენტში; 25%-ს ერთი კანონპროექტიც არ დაუწერია, ხოლო დეპუტატთა 45%-ს განცხადების გასაკეთებლად ერთხელაც არ მოუთხოვია მიკროფონის ჩართვა. პარლამენტის წევრთა 15% მილიონერი ან მილიარდერია და საზღვარგარეთ ცხოვრობს.

რისთვის იბრძოდნენ „მუნჯი“ დეპუტატები პარლამენტში შესასვლელად, თუ საპარლამენტო ცხოვრებაში არ მონაწილეობენ? ამის შესახებ მამუკა ტუსკაძის ინტერვიუდან შეიტყობთ.

***– ბატონო მამუკა, თქვენ მოითხოვთ, პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 100 დეპუტატით. რატომ წამოიწყეთ ეს კამპანია?***

– საინიციატივო ჯგუფმა „უფლებადამცველთა სახლის“ ეგიდით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მივმართეთ, ჩატარდეს რეფერენდუმი კითხვით, თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და ის განისაზღვროს 100 დეპუტატით? ამასთან დაკავშირებით 5 სამუშაო დღეში ჩვენ მოგვაწოდებენ ბლანკებს და ვიწყებთ 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას.

***– პარლამენტის წევრთა რაოდენობის 100 კაცით განსაზღვრას მომავალი არჩევნებიდან ითხოვთ?***

– გვინდა პარლამენტის წევრთა რაოდენობა 100 დეპუტატით განისაზღვროს 2020 წლის მოწვევიდან. ეს იმას ნიშნავს, 2019 წელს შეიძლება ჩატარდეს რეფერენდუმი. შეიძლება ჩვენ ისე სწრაფად შევაგროვოთ 200 ათასი ხელმოწერა, რომ 2019 წლის აპრილში ჩატარდეს რეფერენდუმი. თუ ამომრჩევლები (50% პლუს 1 ხმაა საჭირო) დასმულ კითხვას დადებით პასუხს გასცემენ, მომდევნო პარლამენტის წევრთა რაოდენობა 100 დეპუტატით განისაზღვრება.

***– რამ მიგიყვანათ ამ დასკვნამდე?***

– სამი ძირითადი კრიტერიუმია. პირველი – ამით ჩვენ გავუთანაბრდებით წამყვან ევროპულ ქვეყნებს, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა მერყეობს 2,5-დან 3 მლნ-მდე და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატთა რაოდენობა 100-მდეა. მაგალითად, ბოსნიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, 3 მლნ 700-ათასიან მოსახლეობას 57 დეპუტატი ჰყავს. 3 მლნ 700 ათასი ამომრჩეველია ხორვატიაში და პარლამენტის წევრთა რაოდენობა 101 დეპუტატით განისაზღვრება. ასეა ლატვიაში, ესტონეთში, ფინეთში.

***– მთიანი რეგიონები ხომ არ ართულებს საქმეს?***

– არა. მეორე არგუმენტია ჩვენი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, რომლის თანახმად, სამი ტიპის პარლამენტართა ჯგუფი გამოირჩევა, როგორც მე-9 მოწვევის პარლამენტში, ასევე 6-7-8-ე მოწვევის პარლამენტებში.

კვლევებიდან გამომდინარე, გამოჩნდა, რომ პარლამენტის წევრთა რაოდენობის 15% წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მიდის პარლამენტის სხდომებზე.

***– ანუ ეს კატეგორია დეპუტატებისა პარლამენტში საერთოდ არ დადის?***

– დაახლოებით 18 დეპუტატი წელიწადში პარლამენტის შენობაში 4-ჯერ მიდის – გახსნის დღეს, დახურვის დღეს, და კონსტიტუცია რომ მიიღეს, ისეთ დღეს, დანარჩენ შემთხვევაში არ დადის.

დეპუტატების 25%-ს მთელი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში ერთი კანონპროექტი არ აქვს გაკეთებული. ეს არის დაახლოებით 40 დეპუტატზე მეტი. არადა, პარლამენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და პარლამენტის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა კანონპროექტებზე უნდა მუშაობდეს.

პარლამენტი არის როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ასევე – უმაღლესი პოლიტიკური ორგანო. თუმცა, დეპუტატების 45%-ს 150 კაციდან (დაახლოებით 70 დეპუტატს) ერთხელ არ აქვს მიკროფონი ჩართული და რამე საკითხზე პოლიტიკური განცხადება გაკეთებული. რა უნდა ასეთ დეპუტატს პარლამენტში.

**დაახლოებით 18 დეპუტატი წელიწადში პარლამენტის შენობაში 4-ჯერ მიდის – გახსნის დღეს, დახურვის დღეს და, კონსტიტუცია რომ მიიღეს, ისეთ დღეს, დანარჩენ შემთხვევაში არ დადის.**

***– თქვენი დაკვირვებით, ამ კატეგორიის დეპუტატები რისთვის იყრიან კენჭს და რისთვის იბრძვიან პარლამენტში მოსახვედრად? ვთქვათ, ის 15% რისთვის მიდის პარლამენტში, რომელიც საერთოდ არ დადის სხდომებზე? 25%-ს რა უნდა პარლამენტში, როცა ერთი კანონპროექტიც არ დაუწერია და იმ 45%-მა რისთვის იბრძოლა პარლამენტში შესასვლელად, თუ მუნჯი იყო? რა, პარლამენტი მუნჯების თავშესაფარია?***

– პარლამენტი მათთვის თავშესაფარი არ არის. პარლამენტში არიან მილიარდერები და მილიონერები და თავშესაფარია მათი ბიზნესისთვის. მათ თავშესაფარი აქვთ საზღვარგარეთ. რამდენიმე დეპუტატი საზღვარგარეთ ცხოვრობს და საერთოდ არ ჩამოდის საქართველოში. იქიდან მართავენ თავიანთ ბიზნესებს.

***– ვინ არიან ისინი? მილიარდერები და მილიონერები პარლამენტში არ დადიან?***

– არც ერთი მილიონერი პარლამენტში არ დადის.

***– მაგალითად, ნაყოფია დადის პარლამენტის სხდომებზე?***

– არა. არა მარტო პოზიციიდან, არამედ ოპოზიციაშიც არიან მილიონერები, მაგალითად, კობა ნაყოფია, კახა ოქრიაშვილი.

**ჩვენ ვითხოვთ დეპუტატთა რაოდენობის 100-მდე შემცირებას. პარლამენტში 150 დეპუტატი საჭირო არ არის. ახლა პარლამენტში არის ბალასტი.**



***– ოქრიაშვილი პარლამენტის სხდომებზე არ დადის?***

– სიმართლე გითხრათ, ოქრიაშვილი პარლამენტში ბოლო დროს დადის, რადგან ფრაქციის ხელმძღვანელობას გამოჰკრა ხელი. არიან დეპუტატები, რომლებსაც დეპუტატობა თავისი ბიზნესის ლობირებისა და ახალ-ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის სჭირდება და არა პარლამენტში მუშაობისთვის. ამიტომ თუ პარლამენტის რაოდენობა შემცირდება, საკანონმდებლო ორგანო უფრო ეფექტურად იმუშავებს. 100 დეპუტატი სრულიად საკმარისია.

***– 15%-იანი კვოტა მილიონერებისაა?***

– 15%-ის 95% მილიონერებისაა.

***– ანუ ჩვენი პარლამენტის დეპუტატების 15% მილიონერია?***

– საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა 15%-ზე მეტი არის მილიონერი. არიან მილიონერები და არ დადიან პარლამენტში. მაგალითად, შალელაშვილი არის მილიონერი და ორჯერ არის პარლამენტში ნამყოფი. პრესკონფერენცია დასჭირდა პარლამენტის ფონზე და იმიტომ მოვიდა პარლამენტში.

***– იმ დეპუტატებზე მინდა გკითხოთ, რომლებსაც არც ერთი კანონპროექტი არ დაუწერიათ მთელი თავიანთი მრავალწლიანი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში. რატომ არ წერენ, არ შეუძლიათ, ვერ აზროვნებენ, იდეები არ აქვთ თუ საერთოდ უცოდინრები არიან?***

– უცოდინრები და უმარიფათოები არიან. ისიც ვერ მოუფიქრებიათ, გვერდით კოლეგა დეპუტატი რომ წერს კანონპროექტს, უთხრან, ჩამრთე ამ კანონპროექტის შემუშავებაში, მე დრო არ მაქვს, მაგრამ მაქვს ფულიო. ასე შეიძლება გახდეს კანონპროექტის ავტორი. ამის გაკეთებაც არ უნდათ. დეპუტატების 45% საერთოდ ხმას არ იღებს პარლამენტში.

***– ვთქვათ, პარლამენტის წევრთა რაოდენობა 100 კაცამდე შემცირდა. რა გარანტიაა, რომ იმ 100 კაცში ყველა შესაბამისი იქნება საპარლამენტო მუშაობისთვის?***

– არ არის გარანტია, რომ 100 დეპუტატშიც ასეთი შემადგენლობა არ იქნება. 100 დეპუტატშიც შეიძლება იყოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის 15%, რომელიც პარლამენტში არ ივლის, მაგრამ მერე პარტიები იძულებული იქნებიან, თავიანთ სიებში ისეთები ჩაწერონ, რომლებიც ხმას ამოიღებენ, კანონპროექტს დაწერენ. სუფთა სიები აღარ იქნება, პარლამენტართა შემადგენლობა შემდეგ უფრო გასუფთავდება.

***– კვალიფიციური სპეციალისტებისა და პოლიტიკოსების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ პარტიები საპარლამენტო სიების ნორმალური შემადგენლობით შევსებას ვერ ახერხებენ?***

– ასეა. რუსლან გაჯიევი იცით, საქართველოს პარლამენტის წევრი რომ არის?

***– მგონი, ეგ უმცირესობებიდანაა.***

– გოცირიძე ელგუჯა იცით?

***– არა, რომან გოცირიძე ვიცი.***

– გოგა გულორდავას, ლაშა დამენიას, გარზიევ მახირს ხომ არ იცნობთ?

***– არა.***

– ისკო დასენი.

***– გამიგია.***

– პროკურორი იყო. ერქვანია ალექსანდრე, ცოტნე ზურაბიანი? ედიშერ თოლორაიას, ნანა კედელაშვილს, შალვა კიკნაველიძეს იცნობთ? ხომ ხედავთ, რა სიტუაციაა, ჟურნალისტი ხართ და არ იცნობთ, წარმოიდგინეთ, უბრალო მოქალაქე რა დღეში იქნება. იონათამიშვილი

***– იონათამიშვილი გამიგია.***

– პაატა კვიჟინაძე გეცოდინებათ. ლევან კობიაშვილს იცნობთ, ალბათ.

***– პაატა კვიჟინაძე და კობიაშვილი ვიცი.***

– სვეტლანა კუდბას იცნობთ?

***– სვეტლანა კუდბა ვიცი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო.***

– ტელევიზორში გამოსული რამდენჯერ გინახავთ?

***– არ მინახავს.***

– სოსო მაკრახიძე, გურამ მაჭარაშვილი, მეშველიანი? სამველა მანუკიანი გეცოდინებათ. სიტყვა პარლამენტი ნიშნავს მოლაპარაკეთა ორგანოს, სათათბირო ორგანოს. როცა არც ლაპარაკობ, არც კანონპროექტს წერ, მარტო ხაბიზგინა გინდა ჭამო? გენადი მარგველაშვილი? გუგული მაღრაძე და ენძელა მაჭავარიანი?

***– მათ ვინ არ იცნობს?***

– მირზოევი? გრიგოლ მიქელაძე, იცი, ვინ არის? სამტრედიელი ბიზნესმენი. ენზელ კოაიანს იცნობთ, მთელი ცხოვრება პარლამენტშია. რა მაგარი კაცია, იცით, მილიარდერი, იკითხეთ, რამდენჯერ არის პარლამენტში ნამყოფი.

მუჩიაშვილი? პაატა მხეიძე ან დიმიტრი მხეიძე იცით? გუჯა გოცირიძე. რამაზ ნიკოლეიშვილზე გეცოდინებათ რამე. რუსლან პოღოსიანი?

***– ვიცი, რომ პოღოსიანი სომხების დეპუტატია.***

– რუსლან პოღოსიანი როგორ უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის წევრი, რას აკეთებს? გელა სამხარაული გეცოდინებათ. თქვენზე იმიტომ ვაკეთებ ორიენტაციას, თქვენ ხართ ჟურნალისტი, რომელიც თითქმის ყველას იცნობდით და იცნობთ.

***– მე ყველა ვიცი სიის მიხედვით, მაგრამ აქ საუბარია იმაზე, აქტიურობის მიხედვით ვიცნობ თუ არა.***

– დავით სონღულაშვილი, აზერ სულეიმანოვი, ლელა ქებურია.

***– სულეიმანოვი აზერბაიჯანელების დეპუტატია. ლელა ქებურია ვიცი მისი აქტიურობით.***

– მერაბ ქვარაია გეცოდინებათ.

***– მერაბ ქვარაია ვიცი, შევარდნაძის გენერალი.***

– მამუკა ჩიქოვანი და ჩარქსელიანი იცით?

***– ერთი განცხადებაც არ გაუკეთებია.***

– ივლიანე წულაია არ გეცოდინებათ.

***– ივლიანე წულაია ვიცი, ახლა ბინადრობაზე პროექტი აქვს შეტანილი პარლამენტში.***

– მირიან წიკლაური იცით?

***– მირიან წიკლაური ვიცი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი და მე-8 მოწვევის დეპუტატი იყო.***

– არჩილ ხაბაძის განცხადება თუ მოგისმენიათ?

***– არჩილ ხაბაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე იყო და იქიდან ვიცი, პარლამენტში მისი განცხადება არ მომისმენია. სხვათა შორის, პარლამენტის სხდომებს, პარლამენტარების ყველა განცხადებას დიდი ყურადღებით ვუსმენ.***

– თემურ ჭკუასელი, ფატი ხალვაში, ზაზა ხუციშვილი იცით.

***– ეგ დეპუტატები ვიცი და მათი განცხადებებიც მომისმენია.***

– გიორგი ხატიძე? ჩვენ ახლა 15%-ზე მეტი გამოგვივიდა, რომელიც მოქმედმა ჟურნალისტმა, რომელიც ყველა აქტიურ ადამიანს იცნობს ამ ქვეყანაში, არ იცის და არ უნახავს ამ დეპუტატების აქტიურობა. მათ მეც არ ვიცნობ, ერთ შენობაში ვსხედვართ. ისინი თბილისშიც არ არიან. გუჯა გოცირიძეს ღუდუშაურშიც ვერ ნახავ.

***– ღუდუშაურში რატომ, მისია?***

– დიახ ღუდუშაური მისია, დამფუძნებელი და დირექტორია. იმის მცდელობაში არიან, დაფინანსებული მოქალაქეებისაგან თანხები ამოიღონ და არა პარლამენტში კანონპროექტი დაწერონ, რომ რაღაც შეღავათი გაუკეთონ მოქალაქეებს, სოციალური დახმარება გაუწიონ.

***– ამ საკითხში მხარდაჭერას რამდენად ელოდებით?***

– 200 ათას ხმას რომ შევაგროვებთ, შემდეგ ცესკო განაცხადს გაუკეთებს პრეზიდენტს, პრეზიდენტი კონტრასიგნაციით მიმართავს პრემიერ-მინისტრს.

***– დანიშნავენ?***

– თუ არ დანიშნავენ, სასწაული იქნება. ნამდვილი 200 ათასი კაცის ხელმოწერა მექნება. ჩვენ ვზრუნავთ ხალხზე. თუ ისინი არ იზრუნებენ ხალხზე და არ დანიშნავენ რეფერენდუმს, მიიღებენ შესაბამის პოლიტიკურ პროცესებს. 2003 წელს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შეადგენდა 235 დეპუტატს. 2003 წელს ჩატარდა რეფერენდუმი და საქართველოს მოსახლეობამ გადაწყვიტა, პარლამენტის წევრების რაოდენობა შემცირებულიყო 150 დეპუტატამდე. 15 წლის შემდეგ ჩვენ ვითხოვთ დეპუტატთა რაოდენობის 100-მდე შემცირებას. პარლამენტში 150 დეპუტატი საჭირო არ არის. ახლა პარლამენტში არის ბალასტი.

## საქართველოს ევროკომისარი იოჰანეს ჰანი ეწვევა



საქართველოს 3-4 სექტემბერს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებათა საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი ეწვევა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ევროკომისარის ვიზიტის ფარგლებში თბილისში ოფიციალურად გაიხსნება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ევროპული სკოლა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ევროპული სკოლა ევროკავშირის უპრეცედენტო პროექტია. ეს იქნება პირველი სკოლა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების ფარგლებს გარეთ დაფუძნდება. იგი განკუთვნილია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის და მათ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ევროპული ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს. სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ევროპული განზომილების მქონე საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომს მიიღებენ.

მოსწავლეები შეირჩევიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან შესაბამისი საკონკურსო პირობებით. 2018-2019 სასწავლო წლისთვის უკვე შერჩეულია 30 მოსწავლე.

ევროკომისიისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შერჩევით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ევროპული სკოლა საწყის ეტაპზე, კერძო სკოლის – „ახალი სკოლა“ ბაზაზე განთავსდება. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ევროპული სკოლისთვის ახალი შენობა აშენდება ნაკვეთზე, რომელიც საქართველოს მთავრობის თბილისის მერიასთან თანამშრომლობით გამოიყო.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია იოჰანეს ჰანის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანთან.

# დაუახლოვდება თუ არა საქართველო იაპონიას პოლიტიკურად?

მარიამ მჭედლიშვილი

4-5 სექტემბერს საქართველოში გაიმართება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ტარო კონოს ოფიციალური ვიზიტი. ეს პირველი მაღალი რანგის ვიზიტია იაპონიიდან. ტარო კონო შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს.

საქართველო და იაპონია გააფორმებენ შეთანხმებას აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების თაობაზე. შეთანხმებით, იაპონიის მთავრობა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან ერთად გამოყოფს თანხას დაახლოებით 343 მილიონი დოლარის ოდენობით ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის მშენებლობისათვის.

თუ ეკონომიკური თანამშრომლობა გაღრმავდა, ამან შეიძლება პოლიტიკური დაახლოებაც გამოიწვიოს.

იაპონია ითვლება აშშ-ის მოკავშირედ აღმოსავლეთ აზიაში. აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევა საქართველოც. რუსეთთან იაპონიასაც დაძაბული ურთიერთობა აქვს.

2 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყნარი ოკეანის თავზე აფრინდა 4 იაპონური გამანადგურებელი. ეს რუსეთის თვითმფრინავების აფრენას მოჰყვა.

ამ თვეში ჰოკაიდოში იგეგმება ერთობლივი წვრთნები იაპონიის თავდაცვის სახმელეთო ძალებისა და აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების მონაწილეობით.

ეს მეორე, უფრო მასშტაბური იაპონურ-ამერიკული წვრთნებია. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფონზე, როცა დონალდ ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ გააუქმეს ამერიკულ-სამხრეთ კორეული ერთობლივი სამხედრო სწავლებები. თეთრი სახლის განმარტებით, ეს ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან მიღწეული შეთანხმების გამო მოხდა. ამან დასავლეთში უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია. ტრამპი აზიაში ამერიკის ინტერესების შელახვაშიც დაადანაშაულეს.



ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ბალანსი რომ არ დაირღვეს, ამისათვის ტარდება ამერიკულ-იაპონური წვრთნები. ექსპერტების აზრით, ამის მთავარი მიზანი რუსეთისა და ჩინეთის წინაშე ძალის დემონსტრირებაა. ჩინეთი და რუსეთი, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით, ამერიკის მტრები არიან.

რეგიონში წვრთნებს უახლოეს ხანში რუსეთი და ჩინეთიც ატარებენ. სამხედრო თამაშებში სახელწოდებით „აღმოსავლეთი 2018“ ბაიკალისპირეთში 300 ათასი რუსი სამხედრო და ათასი თვითმფრინავი ჩაერთვება. მასში მონაწილეობს 3 ათასი ჩინელი ჯარისკაცი და 30 ჩინური თვითმფრინავი.

იაპონია-ჩინეთის ურთიერთობები ბოლო ხანს გაუმჯობესდა, მოსკოვთან კი პეკინს ბევრი პრეტენზია აქვს.

ბოლო დროს დიდი მღელვარება მოჰყვა რუსეთის მიერ იაპონიის კუნძულ იტურუპზე გამანადგურებლების განთავსებას. იაპონელები აცხადებდნენ, რომ იტურუპი არასდროს ეკუთვნოდა კურილიის კუნძულებს, რომლებზეც იაპონიამ უარი თქვა.

მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ძვრების ფონზე სიახლეები შეიძლება საქართველოსაც შეეხოს. არ არის გამორიცხული, საქართველოსა და იაპონიის პრიორიტეტები მხოლოდ სატრანზიტო ან სავაჭრო სფეროში არ გადაიკვეთოს.

## სოჭში თვითმფრინავი ასაფრენი ბილიკიდან გადავიდა და ცეცხლი გაუჩნდა

სოჭში აეროპორტში დაშვებისას სამგზავრო თვითმფრინავი ასაფრენი ბილიკიდან გადავიდა და ცეცხლი გაუჩნდა. BBC-ის ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად 18 ადამიანი დაშავდა. ბოინგი Utairავიახაზებს ეკუთვნოდა და მოსკოვიდან მოფრინავდა. ბორტზე 164 მგზავრი და ეკიპაჟის ექვსი წევრი იმყოფებოდა. BBCწერს, რომ ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი ავარიულად დაშვებისას აეროპორტის ღობეს შეეჯახა. რუსეთის სამოქალაქო ავიაციის ინფორმაციით, თვითმფრინავს დაშვება ცუდ ამინდში წვიმასა და ქარში მოუწია.

დაშავებულთაგან ზოგმა დამწვრობა მიიღო, ზოგი კი კვამლით მოიწამლა. სოჭის აეროპორტის პრესსპიკერის განცხადებით, აეროპორტის ერთი თანამშრომელი სამაშველო ოპერაციის დროს გულის შეტევით გარდაიცვალა. BBC- ის ცნობით, დაშავებულთა შორის 3 ბავშვია. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. შემთხვევა პირველ სექტემბერს მოხდა.

## საქართველოს ხელისუფლებას აზერბაიჯანში აფგან მუხთარლიზე არ უსაუბრია



საქართველოს დელეგაციის ვიზიტი აზერბაიჯანში დასრულდა. მრავალ საკითხს შორის, რის შესახებაც მხარეებმა ისაუბრეს, არ მოხვედრილა ადამიანის უფლებების საკითხები, მათ შორის თბილისიდან გაუჩინარებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საკითხი.

ვიზიტის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მამუკა ბახტაძე აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევს შეხვდა.

– შეხვედრისას ვისაუბრეთ საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიულ ურთიერთობებზე და იმ დადებით დინამიკაზე, რაც ჩვენს ქვეყნებს უკვე მრავალი წელია აკავშირებს, მათ შორის, ეკონომიკურ, კულტურულ და ბევრ სხვა სფეროში. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ილჰამს ნაყოფიერი შეხვედრისთვის და საქართველოს მიმართ ურყევი მხარდაჭერისთვის. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყნების მრავალწლიანი მეგობრობა და თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება.

საქართველოს მთავრობის ცნობით, ასევე „ძალიან ნაყოფიერი შეხვედრები შედგა პრემიერ-მინისტრ, ნოვრუზ მამედოვთან და აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავმჯდომარე, ოგტაი ასადოვთან“.

– ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით შევძელით ისტორიული მნიშვნელობის პროექტების რეალიზაცია და მიზნად დავისახეთ, მეტი გავაკეთოთ ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის უფრო უკეთ გამოყენებისთვის. საქართველო არის საპარლამენტო დემოკრატია, საპარლამენტო რესპუბლიკა. ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საპარალამენტო დონეზე თანამშრომლობას და მოხარული ვარ, რომ ეს თანამშრომლობა მართლაც სამაგალითოა. ჩვენ შეგვიძლია, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ ის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები, რომელიც აქვს საქართველოს, შევქმნათ ერთობლივი საწარმოები და დამატებითი სამუშაო ადგილები როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მხარეებმა, ოფიციალური ცნობითვე, ისაუბრეს ასევე „საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის პატივისცემის შესახებ“.

გარდა ამისა, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია აზერბაიჯანელ კოლეგას რამილ უსუბოვს შეხვდა.

– მხარეებმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობაზე, სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებასა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მექანიზმებზე ისაუბრეს.

ადამიანის უფლებების თემას ალიევთან შეხვედრის დროს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც შეეხო. მერკელი აზერბაიჯანში ვიზიტის დროს უფლებამდაცველებსაც შეხვდა.

## როგორ ვაქციოთ დაბინძურებული ჰაერი სამკაულად?

**სამკაულების დასამზადებლად სმოგის გამოყენების იდეა, ერთი შეხედვით, აბსურდულად ჟღერს, თუმცა ამაში წარმოუდგენელი არაფერია, თუ საჭირო ინგრედიენტები გვაქვს, რაც მოიცავს: ქალაქში დაბინძურებულ ჰაერს, რომელიც, სამწუხაროდ, არ გვაკლია, ცოტა შემოქმედებით აზროვნებას, ტექნოლოგიების ჭკვიანურად გამოყენებას და სულ რაღაც ნახევარ საათში შესაძლებელია, სმოგისგან ბეჭედი დავამზადოთ.**

გლობალური მონაცემებით, 2016 წელს დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული ავადმყოფობების შედეგად 4.2 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, რაც 1990 წლის მაჩვენებელს თითქმის 23%-ით აღემატება. აღმოსავლეთი ევროპა ამ მხრივ ერთ-ერთი პრობლემური რეგიონია. მსოფლიოში არსებული ამგვარი სტატისტიკა კი კიდევ უფრო გვიბიძგებს ვიფიქროთ კრეატიულ გზებზე, თუ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ მსგავს პრობლემებს დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით. საბედნიეროდ, თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით საკმაოდ ეფექტური და „მწვანე“ იდეების განხორციელება შეგვიძლია, ენერგიის მინიმალური დანახარჯით და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ამის შესანიშნავი მაგალითია კომპანია შტუდიო ღოოსეგაარდე, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, პეკინის სმოგისგან ბეჭდებსა და საკინძებს ამზადებს. ჰოლანდიელი ანტრეპრენიორისა და ინოვატორის, Daan Roosegaarde-ს ხელმძღვანელობით დიზაინერებისა და ინჟინრების ჯგუფი ცდილობს ერთად გადაჭრას ურბანიზაციის ფონზე წარმოქმნილი პრობლემები. Smog Free Project-ი პირველად 2015 წელს დაიწყო. იგი ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ურბანული ინოვაციების სერიას მოიცავს. პროექტმა დასაწყისშივე დიდი მოწონება დაიმსახურა და



ჰიცკსტარტერ-ის მეშვეობით მოთხოვილ თანხაზე გაცილებით მეტი – 50.000 დოლარის მოლოდინში 113,153 დოლარი მოიპოვა.

Smog Free Project-ის სერიის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია – მსოფლიოში ჯერჯერობით ყველაზე დიდი ჰაერის გამწმენდი, ასე ვთქვათ, უზარმაზარი „მტვერსასრუტი“, რომელიც პარკებში განთავსდება. გუნდმა შექმნა 7 მეტრი სიმაღლის თანამედროვე შენობის მსგავსი კონსტრუქცია, რომელიც შეიწოვს დაბინძურებულ ჰაერს, გადაამუშავებს მას და ბუნებაში სუფთა სახით აბრუნებს. „მტვერსასრუტს“ შეუძლია ერთ საათში 30.000 კუბური მეტრი ჰაერი გაწმინდოს. მისი შემქმნელის განცხადებით, პარკში გიგანტური გამწმენდის წყალობით 55-75%-ით უფრო სუფთა ჰაერია, ვიდრე ქალაქში. თუმცა ეს ოპერაციის საბოლოო ეტაპი არაა. ვინაიდან კომპანია ნარჩენების გადამუშავებისთვის ბოლომდე იბრძვის, აქაც მოიფიქრეს საკმაოდ მოხერხებული გზა. რასაკვირველია, ჰაერის გაწმენდისას მტვრის ნაწილაკები გამოიყოფა და დანადგარშივე გროვდება. სწორედ ამ ერთად დაგროვილ მტვერს მაღალი წნევის საშუალებით პრესავენ და ამზადებენ ძვირფასი ხარისხის ბეჭდებს (Smog Free Ring), ასევე პატარა ზომის ლამაზ კუბებს შავი გულით, რომელთაც მომხმარებელი თავისი ფანტაზიის მიხედვით იყენებს – საყურის, ყელსაბამის ან სხვა სამკაულის შესაქმნელად. საბოლოოდ ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ერთი ბეჭდის/კუბის შესაქმნელად 1.000 კუბური მეტრი ჰაერი იწმინდება. გამწმენდის გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი. პირველი მოწყობილობა ერთხანს მდებარეობდა კრაკოვში, შემდეგ პეკინსა და ტიანძინში. ამ ეტაპზე მის განვითარებაზე მუშაობს კომპანიის ჩინელი პარტნიორი – ფირმა Film Method Works-ი. მეორე გამწმენდი კი როტერდამის პარკში აგრძელებს მუშაობს.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ მთელი მექანიზმი აღჭურვილია გარემოსთვის არასაზიანო ტექნოლოგიით და მოიხმარს მცირე რაოდენობის ელექტროენერგიას. კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით, ეს უზარმაზარი მოწყობილობა იყენებს 1170 ვატს, ანუ დაახლოებით იმავე რაოდენობის ელექტროენერგიას, რასაც ჩვენი სამზარეულოს ელექტროჩაიდანი.

კიდევ ერთი ხერხი ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლისთვის კომპანიამ ველოსიპედებში დაინახა. პროექტ Smog Free Bicycle-ის განხორციელება 2017 წელს დაიწყო. ველოსიპედის საჭეზე დამაგრებული პატარა მოწყობილობა გადაადგილებისას ისრუტავს ჰაერს, ფილტრავს და გასუფთავებულს უბრუნებს ველოსიპედისტს. გამწმენდი კი ენერგიის გამოსამუშავებლად პედალის ძალას იყენებს. მისი პირველი პროტოტიპი წელს შეიქმნა და მის განვითარებაზე მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. სამომავლო პარტნიორი კი ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური ველოსიპედების გასაზიარებელი კომპანია OFO-ა, რომელსაც 100 მილიონზე მეტი (2017) რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს და მისი პროდუქცია მსოფლიოს 250 ქალაქშია ხელმისაწვდომი. ჩინეთს, სადაც ყოველწლიურად 1-1.2 მილიონი ადამიანი იღუპება დაბინძურებული ჰაერის გამო და რომელიც, ამავდროულად, ველოსიპედების რაოდენობით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, ვფიქრობ, ნამდვილად წაადგება მსგავსი წამოწყებები ამ დიდ პრობლემასთან ბრძოლაში.

კრეატიული აზროვნება ისაა, რაც ყველა ტექნოლოგიაზე წინ გვაყენებს და რაშიც მანქანები ჯერ ვერ დაგვეწევიან. ჩვენი უპირატესობა კი ის არის, რომ ისინი ჩვენი ინოვაციური მიზნების შესასრულებლად მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ეს პროექტი კი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია.

## მობილურმა ოპერატორებმა ზარებიდან 14,6 მილიონის შემოსავალი მიიღეს

მობილურმა კომპანიებმა ივლისში რეკორდული შემოსავალი მიიღეს. კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანალიტიკური პორტალის მიხედვით, მობილური ოპერატორების შემოსავლებმა ივლისში 43 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს.



მობილურიდან განხორციელებული ზარებიდან ოპერატორებმა ივლისში 14,6 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს შემცირებული მაჩვენებელია, გასული წლის ივლისში მობილურმა ოპერატორებმა ხმოვანი მომსახურებიდან 17,8 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანალიტიკური პორტალის მიხედვით, შემოსავლები ოპერატორებს შორის ასე გადანაწილდა:

მაგთიკომი: 7,710,712
ჯეოსელი: 4,649,897
ვიონი საქართველო (ბილაინი): 2,251,991
სილქნეტი: 61,954
ჯიმობაილ: 6,013

რაც შეეხება მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, მიმდინარე წლის ივლისში მობილურმა ოპერატორებმა ამ მომსახურებიდან 1,179,155 ლარი მიიღეს, რაც ასევე ჩამორჩება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს – 1,465,276 ლარი.

MMS-დან მიღებულმა შემოსავალმა კი ივლისში 1,469 ლარი შეადგინა.

Bm.ge

# პასუხი სვეტს და შეთავაზება დეველოპერებს სფერო ჰოლდინგისგან

დეველოპერული კომპანია სფერო ჰოლფინგი განცხადებას ავრცელებს:

– ჩვენ მზად ვიყავით გადმოგვებარებინა კომპანია სვეტის 100%-იანი წილი და დაგვეკმაყოფილებინა დაზარალებული მენაშენეები, დაგვესრულებინა დაუსრულებელი მშენებლობები. კომპანიას მოგება გათვლილი არ ჰქონდა პირველ ეტაპზე, ვიდრე არ დაიბრუნებდა დაზარალებულ მენაშენეებს ფულს. ამის გამო სვეტთან გავაფორმეთ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც სვეტი ვალდებულებას იღებდა, გადმოეფორმებინა სრულად შეჩერებული მშენებლობები. რადგან სვეტმა ეს ვალდებულება არ შეასრულა სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი.

ახლა კი გვინდა, პასუხი გავცეთ სვეტის წარმომადგენლების გაკეთებულ კომენტარებს მედიაში: სფერო ჰოლდინგი არის ახალგაზრდა დეველოპერი, რომელსაც აქვს სრული რესურსი სვეტის მიერ სამშენებლო ბაზარზე ჩადენილი შეცდომა გამოასწოროს!

ასეთი დეველოპერული კომპანიები ერთადერთი ხსნა არის ამ ეტაპზე სვეტისთვის, რათა დაზარალებულ მოსახლეობას არ გაუგრძელდეს წლობით ზარალი. ამას სვეტიც კარგად აცნობიერებდა და ეს იყო მიზეზის რის გამოც ხელშეკრულება გააფორმა ჩვენთან, თუმცა სვეტის მიერ ვალდებულებების არშესრულება, შემდეგ ჩვენი დადანაშაულება, თითქოს ვერ მოვახერხებდით მშენებლობებს, ასევე მენაშენეებში შექმნეს უნდობლობა ჩვენს მიმართ. ამით კი წელავენ დროს!

ჩვენი პოზიციაა, მოვუწოდოთ დეველოპერულ კომპანიებს, დაგვიდგნენ ამ ბრძოლისას მხარში და ეს იქნება ერთადერთი გზა დაზარალებული მენაშენეების გადარჩენის! ჩვენი მიზანია, სვეტის და მსგავსი კომპანიების მიერ შელახული და დაკარგული ნდობა ბაზარზე დეველოპერების მიმართ ამ გზით აღდგეს. ძალიან მარტივი გზა არის სვეტმა გადმოგვაბაროს ნაკისრი ვალდებულების მიხედვით არსებული შეჩერებული ობიექტები და ჩვენი შეთავაზება სხვა დეველოპერებთან იქნება ღია, გამჭვირვალე და გარანტირებული ხსნა დაზარალებულთათვის.

# სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის ახალი წესები ამოქმედდა



2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის წესები შეიცვალა.

კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 100%-დან 50%-მდე მცირდება. ამასთან, ცვლილებები შედის ვადაგადაცილებული სესხების დაანგარიშების წესშიც.

– მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში მითითებული, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების (გარდა სანოტარო წესით იპოთეკის დამოწმებასთან და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა) ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2.5-მაგი ოდენობის ერთ მეთორმეტედს, რომელიც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან, – აღნიშნულია კოდექსში.

რაც შეეხება ვადაგადაცილებულ სესხებს, ამ ტიპის სესხებზე ჯარიმა/საურავების ოდენობა იცვლება. კერძოდ, სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა თითოეულ დღეზე სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. შესაბამისად, გამოდის, რომ სანქციის ოდენობა წლიურად 98.55%-ზე მეტი არ უნდა იყოს.

მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის მოქმედი რედაქციით, მსესხებლისათვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლო და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს.

ბპნ

# გუდაური ინფრასტრუქტურული პრობლემების პირისპირ — „კურორტი 3 სეზონის განმავლობაში საშინელი სანახავია“




სამთო საკურორტო ზონებში ინფრასტრუქტურა კვლავ მოუწესრიგებელია.

გუდაურში მოქმედი სასტუმროების მფლობელები „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას იმ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც ტურისტებისა თუ ადგილობრივი დამსვენებლების უკმაყოფილებას იწვევს. ჩამონათვალშია – გზები, საფეხმავლო ბილიკები, კანალიზაცია, გასართობი ადგილები, სამშენებლო ნარჩენები, მოშლილი საბაგირო და ა.შ.

გარდა ამისა, როგორც ბიზნესმენები აღნიშნავენ, გუდაური მხოლოდ ერთი სეზონით ცხოვრობს და 3 სეზონის განმავლობაში „საშინელი სანახავია“. მეტიც, გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე მხოლოდ 3 სასტუმრო ფუნქციონირებს.

საკურორტო ზონების მომზადების დონით უკმაყოფილოა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძეც და პრობლემების აღმოსაფხვრელად შესაბამის პირებს ბოლო გაფრთხილებას აძლევს. მისი თქმით, კარგია, რომ ტურისტების რაოდენობა მკვეთრად იზრდება, მაგრამ „ეს არ არის არგუმენტი იმისთვის, რომ კურორტები არ იყოს მზად ნაკადის მისაღებად“.

– ყველა იმ ადამიანს, რომელიც ფიზიკურად არის ჩართული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და მზადყოფნის ხარისხის უზრუნველყოფაში, მათთვის ბოლო გაფრთხილებაა, – აღნიშნა ბახტაძემ.

პრემიერის განცხადებას გამოეხმაურა მთის კურორტების განვითარების კომპანია. როგორც ბმ.გე-სთან საუბრისას კომპანიაში განმარტეს, პროექტებში, რომელსაც ისინი ახორციელებენ, ვადების დარღვევა არ ფიქსირდება. ამ შემთხვევაში საუბარია 92-მილიონიან პროექტზე, რომელიც გუდაურში 4 ახალი საბაგიროს მშენებლობას გულისხმობს და რომელსაც უწყება კომპანია „დოპელმაიერთან“ ერთად ახორციელებს.

თუმცა, გუდაურში მდებარე სასტუმროების მფლობელები „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებენ, რომ შესაძლოა, ზამთრის სეზონი საბაგირს გარეშე დარჩეს, რადგან მთლიანი სისტემა მოშლილია. ამასთან, იმ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც დამსვენებლების უკმაყოფილებას იწვევს.

– ძალიან კარგი, თუ პრემიერმა შესაბამის პირებს გაფრთხილება მისცა. არაერთხელ მისაუბრია იმ პრობლემებზე, რომელიც გუდაურშია. ახლა ეს საბაგიროებიც დაემატა, რომელიც მოხსნეს და რამდენად მოასწრებენ მის დამონტაჟებას, არ ვიცი. შეიძლება, საერთოდ საბაგიროების გარეშე დარჩეს გუდაური. გარდა ამისა, პრობლემაა, კანალიზაცია, გზები, გასართობი ადგილები, ნაგავს მიაქვს ყველაფერი. საერთოდ ვინ არის ხელმძღვანელი და ვის ეხება ეს საკითხი რომ მივმართოთ, ისიც ვერ გავარკვიეთ. აბსოლუტურად ყველაფერი, რაც ინფრასტრუქტურას ეხება, გუდაურში პრობლემას წარმოადგენს, – აცხადებს საოჯახო სასტუმრო თრუსოს ხელმძღვანელი ლევან კარიჭაშვილი.

სასტუმრო Quadrum-ის ხელმძღვანელი ირაკლი ერისთავი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ კურორტი მხოლოდ ზამთარში ფუნქციონირებს, დანარჩენ 3 სეზონზე კი იქაურობას „არ შეეხედება“.

– ყველამ იცის, რომ გზის ამბავი გუდაურში დიდი პრობლემაა. პირადად ჩვენთვის პრობლემაა ტრაილერების სიარულიც, გზასთან ახლოს ვართ და საკურორტო ზონისთვის ძალიან შემაწუხებელია. წყალი ახლა გაიყვანეს და ეს პრობლემა აღარ არის. თუმცა, სიმართლე გითხრათ, თბილისზე მაღალი გადასახადი გვაქვს. სინათლე ზაფხულში უფრო პრობლემურია, კვირაში 4-5 დღე მაინც თიშავენ ხოლმე. ზამთარში ნაკლებად. სამწუხაროა ისიც, რომ სერვისები მხოლოდ სეზონურად მუშაობს აქ. მაგალითად, სასტუმროები სულ სამი ფუნქციონირებს. გუდაურში ზაფხულში თუ ახვალთ, ვერ წარმოიდგენთ, რომ ეს სასტუმროები ზამთარში შეიძლება მუშაობდეს. დაუმთავრებელია შენობები, სამშენებლო ნაგავი ყრია, რაც ზამთარში იფარება, ზაფხულში კი საშინელი სანახავია. გარდა სამშენებლოსი, ზოგადად ნაგვის პრობლემებიც არის. ზაფხულში უბრალოდ არ შეეხედება იქაურობას, – აცხადებს ირაკლი ერისთავი.

სასტუმრო გუდაურას დირექტორი ირაკლი კუტალია მოსაწესრიგებელ პრობლემებს შორის უმთავრესს გზებსა და საფეხმავლო ბილიკებს გამოყოფს. მისი თქმით, ეს დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია.

# დიღმის ჭალებში ახალი პარკის პროექტის მოსამზადებლად 310.000 ლარი გამოიყო



თბილისში, დიღმის ჭალებში, ახალი პარკის გასაშენებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად თბილისის მერიამ 310.000 ლარი გამოყო. გამარჯვებულმა კომპანიამ ახალი პარკი 85.000 კვ. მეტრ ფართობზე უნდა დააპროექტოს, ისე, რომ შენარჩუნდეს მდ. მტკვარში კუნძული, სადაც საფეხმავლო ბილიკები მოეწყობა.

პარკში განთავსდება სხვადასხვა ზონები – სპორტული და საბავშვო სივრცეები, პავილიონი, საპიკნიკე სივრცე, საფეხმავლო და ველობილიკები. შესაძლებელია განთავსდეს მედიათეკა და კინოთეატრი, ასევე – საფეხმავლო ეკო ხიდები.

პროექტის ფარგლებში წარმოდგენილ უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიების მდ. მტკვართან დაკავშირების არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტაც.

ტენდერში წინადადებების წარდგენის ვადა 17 სექტემბერს სრულდება.

GBC.GE

# ივლისში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ინფლაციამ 2.8% შეადგინა




2018 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ინფლაციამ 2.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ფასების საერთო დონე 0.3 პროცენტით შემცირდა.

ივლისში, ივნისთან შედარებით, აღსანიშნავია ბენზინის 3.2 პროცენტით გაძვირება და, სეზონური ფაქტორებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ხილისა და ბოსტნეულის გაიაფება.

2018 წლის დასაწყისიდან ერთჯერადი ფაქტორების გავლენა წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე თითქმის ამოიწურა, რის გამოც, ამ პერიოდიდან მან შემცირება დაიწყო. თუმცა ერთჯერადი ფაქტორებიდან კვლავ მოქმედებს გაზის გადასახადის მომატება, რაც გასული წლის აგვისტოში მოხდა. ამას დაემატა 2018 წლის იანვრიდან წყლისა და ელექტროენერგიის გადასახადის გაძვირება. აღნიშნული კომუნალური გადასახადების მატების გავლენამ წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე ივლისში 0.4 პ.პ შეადგინა.

ივლისში წლიურმა ინფლაციამ სურსათის ჯგუფში 2.3 პროცენტი, ხოლო მისმა გავლენამ ინფლაციის მაჩვენებელზე 0.6 პ.პ შეადგინა. საბაზო ეფექტის გამო საგრძნობლად გაძვირებულია ატამი (73 პროცენტი). შესამჩნევად გაძვირებულია მწვანილი (31 პროცენტით) და კარაქი (11 პროცენტით). მნიშვნელოვნად გაიაფდა კომბოსტო (22 პროცენტი), შაქარი (19 პროცენტი) და ვაშლი (13 პროცენტი).

სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია საწვავის და თამბაქოს გაძვირება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროდუქტებზე გასულ წელს აქციზის გადასახადის მომატების ეფექტი ამოიწურა, მათი გაძვირების გავლენა ივლისის წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე კვლავ მაღალი იყო. კერძოდ, თითოეული მათგანის წვლილმა შესაბამისად 0.9 და 0.3 პ.პ შეადგინა. საწვავის გაძვირება მსოფლიოში ნავთობის ფასების მატებას უკავშირდება.

საწვავზე შედარებით მაღალი ფასების გამო, საბაზო ინფლაცია ივლისში მთლიან ინფლაციასთან შედარებით კვლავ დაბალი იყო და 1.4 პროცენტს შეადგენდა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია ფასების დონის გრძელვადიანი ტრენდის შეფასებისთვის.

აიპრესი

# საკრედიტო ბიუროებს სებ-ში რეგისტრაცია მოუწევთ




საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებს ეროვნულ ბანკში რეგისტრაცია მოუწევთ.

აღნიშნული ვალდებულება დღეიდან ამოქმედდა. შესაბამისად, პირი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობის განხორციელების მიზნით ვალდებულია 2018 წლის 1 სექტემბრიდან ეროვნულ ბანკში რეგისტრაცია გაიაროს. ამის შესახებ, სებ-ის მიერ დამტკიცებულ „საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესშია“ აღნიშნული.

წესის თანახმად, ბიუროს მიერ რეგისტრაციის მოთხოვნის პროცესში, ასევე, რეგისტრაციის ძალაში ყოფნის პერიოდში, ბიუროს აქტივების არანაკლებ 50% უნდა შეადგენდეს საკუთარ სახსრებს; ასევე რეგისტრაციის მოთხოვნისა და ძალაში ყოფნის პერიოდში, ბიუროს განაღდებული საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3,000,000 ლარს.

სებ-მა ასევე დაამტკიცა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი, რომლის მიხედვითაც, ბიუროს მონაცემებზე თანაბარი წვდომის უფლება აქვს ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ, ბიუროს სავალდებულო წესით აწვდის ინფორმაციას და აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

ამასთან, ბიუროს მონაცემთა ბაზაში მონაცემთა სუბიექტის შესახებ საკრედიტო ინფორმაციის დროულად აღურიცხველობის, არასწორად აღრიცხვის, ხელმისაწვდომობის წესისა და ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესის მოთხოვნების დარღვევა ბიუროს 1.000 ლარით; სებ-ის მიერ წერილობითი მითითებებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა კი 10 ათასი ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

ამასთან, როგორც წესების პროექტებში იყო აღნიშნული, 1-ლი სექტემბრიდან გაუქმდა ასევე „შავი სიის“ ტერმინი. კერძოდ, საკრედიტო ამონაწერში „ნეგატიური“ სტატუსის ნაცვლად მომხმარებლის/მსესხებლის საკრედიტო ისტორიის შესახებ ფაქტობრივი მონაცემები იქნება ასახული.

# „წამებში უნდა დაძრულიყო მატარებელი. ახლაც მაკანკალებს, ის სურათი რომ მახსენდება“

## როგორ გადაარჩინა ირაკლი კვირკველიამ 5 წლის გოგონა სიკვდილს



ჟურნალისტი თამუნა ნეფარიძე თავის ფეისბუქის გვერდზე აღწერს, თუ როგორ გადაარჩინა ქობულეთის რკინიგზის სადგურის უფროსმა 5 წლის გოგონა, რომელიც რკინიგზის ლიანდაგებში მატარებელსა და ბაქანს შორის ჩავარდა.

„განა მარტო პოლიციასა და ჯარში არიან გმირები! ახლახან გავხდი გმირობის ფაქტის შემსწრე. ეს ბიჭი არის ირაკლი კვირკველია, ქობულეთის რკინიგზის სადგურის უფროსი, ნახევარი საათი ვეჩალიჩე, რომ ფოტოს გადაღებაზე დამეთანხმებინა.

მატარებლიდან ჩამოსული 4-5 წლის გოგონა, კარებიდან 2-3 მეტრში, მატარებელსა და ბაქანს შორის ჩავარდა, წამებში უნდა დაძრულიყო მატარებელი. ატყდა წივილ-კივილი, არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ბიჭი ამ არასამუშაო დღეს იქ და წამებში დაუფიქრებლად ჩახტა და ამოიყვანა ეს ბავშვი.

ახლაც მაკანკალებს, ის სურათი რომ მახსენდება. ბავშვს არაფერი მოსვლია, თუ არ ჩავთვლით სტრესს. მშობლები ალბათ ისე დაიბნენ, არც კი იციან, ვინ გადაარჩინა მათი შვილი, მე კი მომინდა ეს ამბავი თქვენთვისაც გამეზიარებინა,“ – წერს თამუნა ნეფარიძე ფეისბუქის გვერდზე.

# საქართველოს მოქალაქეს საზღვარზე ჩემოდნით უზბეკი ქალი გადაჰყავდა

1 სექტემბერს სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე თურქმა მესაზღვრეებმა 2 პირი დააკავეს.



თურქული მედიის ინფორმაციით, საქართველოს 24 წლის მოქალაქე ცდილობდა, საზღვარზე ჩემოდანში დამალული უზბეკეთის მოქალაქე ქალი გადაეყვანა, რომელიც თურქეთიდან დეპორტირებულია და ქვეყანაში შესვლა 5 წლით ეკრძალება.

# „ეროვნული ერთობის“ წევრ გიორგი ჭელიძეს ბრალი წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-



შენახვა-ტარების ბრალდებით „საქართველოს ეროვნული ერთობის“ წევრი, 1986 წელს დაბადებული გიორგი ჭელიძე დააკავეს.

სამართალდამცველებმა გამოძიება მიმდინარე წლის 31 აგვისტოს სოციალურ ქსელში მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობის“ გვერდზე გავრცელებული ვიდეოს საფუძველზე დაიწყეს.

პოლიციამ ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის იარაღი და 28 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

2 სექტემბერს გიორგი ჭელიძეს ცეცხლსასროლი და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ბრალი წარედგინა.

სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# იტალიაში ქართველი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს

იტალიური მედიის ცნობით, 1 სექტემბერს ქალაქ ავეტრანაში კარაბინერებმა დააკავეს 40 წლის ქართველი, რომელიც მანამდე საფრანგეთში ცხოვრობდა.




გამოძიების ინფორმაციით, ქართველის მიერ დაქირავებულ ბინაში სახლის მეპატრონე ქალი და მისი მეგობარი კაცი მივიდნენ. მათ გ.ბ.-ს ქირის გადახდა მოსთხოვეს. სიტყვიერი შელაპარაკება მალევე გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. გ.ბ. დანით დაესხა თავს გერმანიის მოქალაქეს და ჭრილობა ყელის არეში მიაყენა.

# კახეთში დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.თ., ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო გ.თ.-ს მიერ დანაშაულის დაფარვის მიზნით ავტომან-



ქანიდან გადაგდებული, 23 შეკვრად დაფასოებული, კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ჰეროინს, მორფინის მარილსა და კოდეინის მარილს შეიცავს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# „არ ჩამითვლია საჭიროდ, რომ რამე განმეხორციელებინა“

## 51-ე სკოლა ხორავას ქუჩის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას იხსნის



ხორავას ქუჩის ტრაგედიის შემსწავლელი დროებითი კომისიის წევრი სერგო რატიანი არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეში 51-ე სკოლის პასუხისმგებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მაშინ, როდესაც მოზარდებს შორის დაპირისპირების წინაპირობა არსებობდა, სკოლის ადმინისტრაციას უნდა შეემჩნია, რომ არასრულწლოვნები საქმის გასარჩევად იკრიბებოდნენ.

2 სექტემბრის სხდომაზე კომისიის წევრებმა ვიდეომასალაც წარმოადგინეს, სადაც კარგად ჩანს 35-მდე მოსწავლე, რომელიც შენობის მიმდებარედ იკრიბება.

ამ საკითხთან დაკავშირებით 51-ე სკოლის ადმინისტრაცია პასუხისმგებლობას იხსნის. სკოლის დირექტორის მოადგილე არ ეთანხმება დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრების შენიშვნას, რომ სკოლის ადმინისტრაციას ამ ტრაგედიის თავიდან აცილება შეეძლო, თუ ყურადღებას მიაქცევდა იმ ფაქტს, რომ სკოლის მიმდებარედ არასრულწლოვანი ბიჭების დიდი ჯგუფი გროვდებოდა.

თინათინ ყენია აცხადებს, რომ ტრაგედია გაკვეთილების მსვლელობის დროს არ მომხდარა, ხოლო სკოლის მიმდებარედ შეკრებილ უცხო ბიჭებთან 51-ე სკოლის მოსწავლეებს კონტაქტი არ ჰქონიათ.

– 2-ს აკლდა 15 წუთი. დასრულდა მე-6 გაკვეთილი და ნახევარი სკოლა გარეთ იყო. დავინახე ჩანთებით რამდენიმე უცხო ბიჭი, რომელიც იდგა სკოლის ტერიტორიის გარეთ, მიწისქვეშა გადასასვლელთან სავალ ნაწილზე. ამ ბავშვებს ჩვენს ბავშვებთან კონტაქტი არ ჰქონიათ და, შესაბამისად, მე არ ჩამითვლია საჭიროდ, რომ რაიმე განმეხორციელებინა. ანუ ლაპარაკითაც არ დალაპარაკებიან. ეს მერე აღვიდგინე, რომ ეს ბავშვები იყვნენ და არსებობს კამერის ჩანაწერები, სადაც ყველაფერი ჩანს აბსოლუტურად, – განაცხადა თინათინ ყენიამ.

# ავარია ახმეტაში – დაშავდა 2 ადამიანი

ახმეტის მუნიციპალიტეტში ავარიის დროს 2 ადამიანი დაშავდა.




სოფელ ალავერდთან ერთმანეთს „ბე-ემ-ვესა“ და „მიცუბიშის“ მარკის მანქანები შეეჯახნენ, რის შედეგად დაშავდნენ მძღოლი და მგზავრი. ისინი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმის თქმით, ორივე დაშავებულს ტრავმული დაზიანებები, ლავიწისა და მხრის ძვლის მოტეხილობები აქვს.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

# ფოთში 60 წლის ქალმა 84 წლის დედას ზურგში ყავარჯენი ურტყა

ფოთში ქალი 84 წლის დედაზე ძალადობისთვის დააკავეს.

ფაქტს თვითმხილველებიც ადასტურებენ. დაზარალებულმა დახმარებისთვის მეზობლებს მიმართა და 112-ში დარეკვა სთხოვა. ადგილზე საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარების ჯგუფი იყვნენ მობილიზებული.

როგორც დაზარალებულმა განაცხადა, 60 წლის შვილმა, რომელიც ნასვამი იყო, მას ყავარჯენი წაართვა და ზურგის არეში რამდენჯერმე დაარტყა. დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. შვილი პატრულმა განყოფილებაში გადაიყვანა.

პოლიციის ცნობით, შვილი ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

# ურეკში ზღვაში მაშველებმა მოზარდები გადაარჩინეს

ურეკში, სასტუმრო „კოლხიდას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მაშველებმა 3 ადამიანი გადაარჩინეს.



ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

10 და 13 წლის მოზარდები, ასევე 21 წლის გოგონა, ზღვის სანაპიროდან რამდენიმე ათეულ მეტრში შევიდნენ და, ძლიერი ტალღების გამო, ვეღარ ახერხებდნენ უკან გამოსვლას.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ვინ მოკლა ზახარჩენკო?!

## წმინდა რუსული მკვლელობა



1 სექტემბერს დონეცკის ცენტრში სეპარატისტების ლიდერი ზახარჩენკო ააფეთქეს. ეს მოხდა რესტორან სეპარში, რომელიც ზახარჩენკოს დაცვის უფროსს ეკუთვნოდა. ასაფეთქებელი მასალა რესტორანში იყო ჩამონტაჟებული.

– სავარაუდოდ, ზახარჩენკოს დაცვის ზოგიერთი წევრი მკვლელებთან იყო შეკრული. ერთ-ერთი მათგანი უკვე გაუჩინარდა, – განაცხადა რუსეთის კომპარტიის წევრმა სპირიდონოვმა.

სეპარატისტების ლიდერის სიკვდილს პირადად ვლადიმერ პუტინი გამოეხმაურა. მან ზახარჩენკოს სახალხო ლიდერი უწოდა, ტერაქტზე პასუხისმგებლობა კი უკრაინულ სახელმწიფოს დააკისრა.

მსგავსი იყო რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერ ვოლოდინის გამოსვლაც.

– ზახარჩენკოს მკვლელობა უკრაინული სპეცსამსახურების ნახელავია! ამით მინსკის სამშვიდობო პროცესს ხაზი საბოლოოდ გადაესვა, – თქვა ვოლოდინმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ მომხდარის შემდეგ ნორმანდიულ ფორმატში შეხვედრას აზრი აღარ აქვს.

დონბასელმა ტერორისტებმა თავიანთ მოსკოველ პარტნიორებს ბანი მისცეს. ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მკვლელობა უკრაინის უშიშროების სამსახურმა (სბუ) შეუკვეთა და რამდენიმე დივერსანტი უკვე დააპატიმრეს.

– ჯერ ზახარჩენკოს გვამი არ გაცივებულა, მათ კი უკვე იციან, ვინ არის მკვლელი და ე.წ. დივერსანტებიც დააპატიმრეს. ეს მართლაც კომიკურია, – განაცხადა უკრაინის სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების სამსახურის ექსშეფმა, გენერალმა იგორ სმეშკომ.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ ზახარჩენკო დამოუკიდებელ ფიგურას არ წარმოადგენდა. მის უკან როგორც დონბასური ბანდფორმირებები, ასევე რუსული სპეცსამსახურები იდგნენ. სეპარატისტების ლიდერიც ან რომელიმე მოქიშპე ბანდის მიერ არის მოკლული, ან რუსულმა სპეცსამსახურებმა მოიშორეს.

– ზახარჩენკოს მსგავსი ფსევდოლიდერები მუდამ ცუდად ამთავრებენ, – თქვა სმეშკომ.

რუსი ექსპერტი ანდრეი პიონტკოვსკი თვლის, რომ ზახარჩენკო მარიონეტი იყო. მისი ლიკვიდაციაც უკრაინას არაფერს მისცემდა. ზახარჩენკოს მიმართ უდიდესი პრეტენზიები გააჩნდათ როგორც მოქიშპე მაფიოზურ დაჯგუფებებს, ასევე რუსულ სპეცსამსახურებსაც. მათ ზახარჩენკო უკვე აღარ სჭირდებოდათ. მავრმა გააკეთა თავისი საქმე. მავრს შეუძლია, წავიდეს. ამას გარდა, ზახარჩენკოს მკვლელობა საუკეთესო საბაბია საიმისოდ, რომ მოსკოვმა უკრაინაზე ძალისმიერი ზეწოლა გააძლიეროს.

– ზახარჩენკოს ლიკვიდაცია წმინდა წყლის რუსული მკვლელობაა, – ამბობს პიონტკოვსკი.

ზახარჩენკოს დროებით ვინმე ტრაპეზნიკოვი შეცვლის. თავისი პირველი გამოსვლისას მან თქვა, ზახარჩენკო უკრაინის სპეცსამსახურების მიერ არის მოკლული და ამის გამო შურს ვიძიებთო.

უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფმა, გენერალმა გრიცაკმა ბრალდება ოფიციალურად უარყო, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. 2019 წელს უკრაინაში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. პუტინსაც ხელისუფლებაში პრორუსული ძალების მოყვანა სურს. პოლიტიკური მეთოდებით ეს შეუძლებელია, რადგანაც უკრაინელთა უმრავლესობა პროდასავლურად და პატრიოტულად არის განწყობილი.

მოსკოვი ძალისმიერი წნეხის გაძლიერებას აპირებს. სავარაუდოდ, უკრაინის მთელ ტერიტორიაზე რუსი დივერსანტები გააქტიურდებიან. გაძლიერდება პროვოკაციები აზოვის ზღვაზეც. დონბასელი სეპარატისტები განაცხადებენ, ეს ჩვენი შურისმაძიებლური აქტებიაო. სინამდვილეში რუსეთი უკრაინაზე ძალისმიერ ზეწოლას გააძლიერებს.

### ტრამპი სინგაპურში აღარ გაემგზავრება



სინგაპურში აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრა გაიმართება. მასზე აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც იყო მიწვეული. თანახმად თეთრი სახლის ინფორმაციისა, ტრამპი შეხვედრაზე არ გაემგზავრება.

– ტრამპის მაგივრად სინგაპურში ვიცეპრეზიდენტი მაიკ პენსი ჩავა, – განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა სარა სანდერსმა.

### თავდასხმა ამსტერდამის ვაგზალში



ამსტერდამის ცენტრალურ ვაგზალში სისხლიანი ინციდენტი მოხდა. დანით შეიარაღებული უცნობი ახალგაზრდა გარშემომყოფთ თავს დაესხა. ამ დროს აშშ-ის ორი მოქალაქე დაიჭრა. პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს. ხელში დაჭრილ ტერორისტი დააკავეს. ახლა ის საპატიმროში იმყოფება.

ტერორისტი ავღანელია. მას გერმანიაში ცხოვრების ნებართვა გააჩნდა. მისი მოქმედების მოტივები ჯერჯერობით უცნობია.

### მოლდოვაში რუმინეთთან შეერთებას მოითხოვენ

კიშინიოვში რუმინეთთან გაერთიანების მოთხოვნით დემონსტრაცია გაიმართა. მასში 3.000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ანალოგიური აქციები რუმინეთის 3 ქალაქშიც გაიმართა.

### სლოვაკეთი: რუსი ჯარისკაცის მიერ მოკლული გოგონა წმინდანად შერაცხეს



სლოვაკეთის ქალაქ კოსიცეს კათოლიკურ ტაძარში ანა კოლესაროვას წმინდანად შერაცხვის ცერემონია გაიმართა. მას უამრავი ხალხი და ვატიკანის სპეციალური წარმომადგენელიც დაესწრო.

კოლესაროვა მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა. მის სახლში რუსი ჯარისკაცები შეცვივდნენ, რომლებმაც სლოვაკეთი „ფაშისტებისაგან გაათავისუფლეს". მათ ანას გაუპატიურება დაუპირეს. გოგონამ კივილი ატეხა. ხმაურზე მეზობლებმა მიირბინეს. შეშინებულმა რუსმა ჯარისკაცმა ცეცხლი გახსნა. ავტომატის ჯერით მოცელილი გოგონა დაეცა.

კოლესაროვას საფლავი წლების განმავლობაში სლოვაკი პატრიოტული ახალგაზრდობის თაყვანისცემის ადგილი იყო. მათ საფლავთან მოჰქონდათ ყვავილები, გვირგვინები, რომლებზეც ეწერა: „მოვა დრო და შენი მკვლელები პასუხს აგებენ! რუსეთს ბოროტება არ შერჩება!"

### მსოფლიო პატრიარქი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას აპირებს



მსოფლიოს პატრიარქმა ბართლომემ განაცხადა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებს.

ყველა მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს ავტოკეფალიას. გამონაკლისი მხოლოდ სერბეთია, რომელიც რუსებთან ერთად უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების წინააღმდეგია.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

### მონადირეს შეცდომა კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა



შავმა დათვმა მძიმე დაზიანებები მიაყენა ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ იუკაიპეს მცხოვრებს, რომელმაც ის ისრით დაჭრა.

სამი მონადირე ტყეში მშვილდ-ისრებით წავიდა სანადიროდ. ისინი გადაეყარნენ დაახლოებით 135 კილოგრამიან მტაცებელს. ერთ-ერთმა მათგანმა დათვს ისარი ესროლა და მოარტყა, შემდეგ კი ძირს დაცემულ ცხოველთან მიირბინა. დათვი ცოცხალი აღმოჩნდა და მამაკაცს თავს დაესხა.

მონადირე საავადმყოფოში სხეულზე, ხელებსა და სახეზე სერიოზული დაზიანებებით მიიყვანეს. თავად ცხოველი მიღებული ჭრილობისგან დაიღუპა.

დაშავებული მონადირის ერთ-ერთმა თანმხლებმა განაცხადა, რომ ის გამოცდილი მონადირე იყო და დაშვებული შეცდომა ძვირად დაუჯდა. მისი თქმით, ის დათვს არ უნდა მიახლოებოდა, სანამ მის სიკვდილში არ დარწმუნდებოდა.

### ხუთმა ჰიმალაურმა დათვმა 20 წელი გალიაში ტანჯვა-წამებაში გაატარა



ვიეტნამში ხუთი ჰიმალაური დათვი თითქმის 21 წელი ტყვეობაში ყოფნის შემდეგ გაათავისუფლეს.

ცხოველები ათეული წლები ქალაქ მიტხოში გალიაში ჰყავდათ მოთავსებული. ფირმის მფლობელი მათ მტკივნეული პროცედურის გამოყენებით რეგულარულად აცლიდა ნაღველს.

დათვები გაათავისუფლეს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის თანამშრომლებმა, რომლებიც დათვების ფერმებში გამრავლებას ებრძვიან. მათ ცხოველებს ბეწვის, სისხლის, შარდისა და განავლის ანალიზები აუღეს, რათა მათ ყველა შესაძლო დაავადება გამოუვლინონ. წინასწარმა ვეტერინარულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მათ კარიესი და ართრიტი აწუხებთ. ცხოველები ტამდაოს ეროვნული პარკის სარეაბილიტაციო ცენტრში გადაიყვანეს.

– ისინი აღარასოდეს აღმოჩნდებიან გალიაში. ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს მოღვაწეობაში, რომელიც ცხოველების ტყვეობიდან დახსნას შეეხება. ამ უდანაშაულო დათვებისთვის კი ახალი ცხოვრება იწყება, ბოლოს და ბოლოს, ისინი თავისუფლებით დატკბებიან, – განაცხადა ორგანიზაციის დამფუძნებელმა ჯილ რობინსონმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ლიდერები იგებენ

**<u>საბურთალო-ლოკომოტივი 2:1</u>**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 ლობჟანიძე (27), 1:1 კოხრეიძე (42პ), 2:1 ვოლკოვი (80)

**საბურთალო:** კუპატაძე, მარგველაშვილი, ნადარაია (ლაკვეხელიანი 46), ვოლკოვი, კოხრეიძე (ტატანაშვილი 71), ჩაბრაძე, ტერა (ალთუნაშვილი 66), გორგიაშვილი, გონსალვესი, დიასამიძე, რეხვიაშვილი

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია, ჯიქია (არდაზიშვილი 83), შონია, გვალია (ძებნიაური 67), დავითაშვილი, ლობჟანიძე, გაბაძე, უბილავა, სამურკასოვი (ინჯგია 60), კობახიძე

მორიგი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში დედაქალაქურმა საბურთალომ, რომელიც მიმდინარე სეზონში დამაჯერებლად ლიდერობს ეროვნულ ლიგას. ამჯერად, დერბიში, დაძაბულ ბრძოლაში თანაქალაქელ ლოკომოტივს აჯობეს – 2:1.

მასპინძლებმა პირველ ნახევარში უხვად შექმნეს საგოლე მომენტები, მაგრამ ისე მოხდა, რომ პირველი გოლი საკუთარ კარში მიიღეს – კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ, თავით უჩა ლობჟანიძემ გაიტანა. ტაიმის მიწურულს საბურთალოელებმა ანგარიში გაათანაბრეს: გიორგი კოხრეიძის საჯარიმოში წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. დარტყმა თავად დაზარალებულმა ითავა – 1:1.

მეორე ნახევარში ცვლილებაზე შესულ დიმიტრი ტატანაშვილს მიეცა თავისიანების დაწინაურების შესაძლებლობა, მაგრამ ფორვარდის თავურის შემდეგ, ლოკომოტივი გაშვებულ გოლს გადაურჩა. ერთ-ერთ ეპიზოდში დავით ვოლკოვმა გაიტანა ბურთი, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს.

საბოლოო ანგარიში მაინც ვოლკოვმა დააფიქსირა – მე-80 წუთზე სტუმართა მეკარე თევდორაძემ ბურთი ცუდად მოიგერია, იქვე მდგომ ვოლკოვს მიუვიდა და 3-ქულიანი დარტყმა განახორციელა.

**<u>ჩიხურა-დინამო 1:2</u>**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

0:1 ზივზივაძე (7), 1:1 გაბედავა (28), 1:2 კუცია (72)

55-ე წუთზე ნინუამ ვერ გაიტანა (მეკარე)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მაისაშვილი, კახაბრიშვილი, კაკუბავა, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი (ჩიხლაძე 76), სარდალიშვილი (ბუხაიძე 88), ბულრიძე, გაბედავა

**დინამო:** სიკაჩი, რუხაია, ქაფიანიძე (ლოჩოშვილი 74), თოთაძე, ხარაბაძე, ნინუა, ივანისენია, კობოური (შენგელია 65), კუცია (ქარდავა 76), შულაია, ზივზივაძე

მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. დედაქალაქელებმა პირველივე წუთებიდან მოიპოვეს უპირატესობა და სწრაფი გოლიც გაიტანეს. შეხვედრის მე-7 წუთზე აკაკი შულაიას ზუსტი პასი ბუდუ ზივზივაძემ შეირგო და ანგარიშიც გახსნა.

გოლს თბილისელთა კიდევ რამდენიმე სახიფათო, თუმცა უშედეგო შეტევა მოჰყვა. ტაიმის შუიდან უპირატესობას უკვე მასპინძლები დაეუფლნენ და 28-ე წუთზე ანგარიში გიორგი გაბედავამ გაქვითა და ტაიმი ასეც დამთავრდა.

მეორე ნახევარი კი, ძირითადად სტუმართა შეტევებში მიილია. 55-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოში



შულაიაზე უხეში თამაში დაფიქსირდა, თერთმეტმეტრიანიდან ნიკა ნინუამ დაარტყა, მაგრამ ბურთი დინო ჰამზიჩმა უკუაგდო, რასაც დამატებაზე ზივზივაძის არაზუსტი თამაში მოჰყვა და დინამომ გოლის გატანის მორიგი შანსი გაუშვა ხელიდან. თბილისელებმა განაგრძეს ზეწოლა და საბოლოოდ შედეგი 72-ე წუთზე მიიღეს. შულაიამ შეტევის მარცხენა ფრთაზე 2 მეტოქეს აუარა გვერდი, საჯარიმოს ცენტრში გიორგი კუციას უპასა, რომელმაც ერთი შეხებით დინამოს გამარჯვების გოლი გაიტანა.

თბილისელებმა მორიგი 3 ქულა მოიპოვეს, ხოლო შემდეგ მატჩს ჩემპიონობის მაძიებელ უშუალო კონკურენტთან გამართავენ – ორკვირიანი სანაკრებო პაუზის შემდეგ, 15 სექტემბერს, დინამო საბურთალოს უმასპინძლებს.

**<u>კოლხეთი-დილა 0:2</u>**

**ფოთი. პარკი არენა**

0:1 ლემპტი (9), 0:2 კოვტალიუკი (55)

74-ე წუთზე პატერსონ კაბორემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**კოლხეთი:** კნიგა, ძაძამია (მთივლიშვილი 36), ციკოლია, დოროშენკო, აფხაზავა, კაკულია (შალიკაშვილი 60), ჭეჭელაშვილი, კაბორე, იმნაძე, ჭეიშვილი (მახარაძე 28), ტყემალაძე

**დილა:** გუგეშაშვილი, ჩადუნელი, რაზმაძე, ქავთარაძე (სამუშია 72), ნონიკაშვილი (გოგუა 46), კორიფაძე, კოვტალიუკი (ჯუფი 59), ლემპტი, სანტოსი, რიბეირო, სუხიაშვილი

ფოთის კოლხეთმა საკუთარ ქალაქში, გორის დილას უმასპინძლა და ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა. მაისის შემდეგ ფოთელებს აღარ მოუგიათ და ეროვნული ლიგის დატოვების უმთავრესი პრეტენდენტები არიან. დილამ კი 4-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა...

ნუგზარ თვარაძის შეგირდებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და საწყის წუთებში რამდენიმე შანსი ჰქონდათ, თუმცა დილას მეკარე ლუკა გუგეშაშვილმა გუნდი გაშვებულ ბურთს გადაარჩინა.

მე-9 წუთზე კი სტუმრებმა კოლხეთი გამოუყენებელი მომენტებისთვის დასაჯეს. მარცხენა ფლანგიდან ლეანდრო რიბეირომ ცენტრისკენ პასი ისიფუ ლემპტის გაუკეთა, რომელმაც ერთი შეხებით დაარტყა და საჯარიმოს გარედან ეფექტური გოლიც გაიტანა.

მეორე გოლი გიორგი შაშიაშვილის გაწვრთნილებმა 55-ე წუთზე გაიტანეს. საგოლე პასი კვლავ ბრაზილიელმა რიბეირომ მარცხენა ფლანგიდან გააკეთა. 23 წლის შემტევმა მურად აფხაზავა მარტივად ჩამოიშორა, საჯარიმოში ჩააწოდა და მიკოლა კოვტალიუკმა თავური დარტყმით გაიტანა.

კოლხეთს 74-ე წუთზე თამაშში დაბრუნება შეეძლო. მსაჯმა დილას კარის მიმართულებით პენალტი დანიშნა, რომელიც პატერსონ კაბორემ შეასრულა და მას სტუმართა მეკარე ლუკა გუგეშაშვილმა აჯობა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 23 | 18 | 2 | 3 | 45-16 | 56 |
| 2.დინამო | 22 | 15 | 3 | 4 | 46-21 | 48 |
| 3.დილა | 22 | 10 | 9 | 3 | 39-27 | 39 |
| 4.ჩიხურა | 23 | 11 | 5 | 7 | 37-23 | 38 |
| 5.ტორპედო | 18 | 8 | 3 | 7 | 26-18 | 27 |
| 6.ლოკომოტივი | 22 | 7 | 4 | 11 | 29-40 | 25 |
| 7.რუსთავი | 21 | 5 | 7 | 9 | 19-27 | 22 |
| 8.სიონი | 22 | 5 | 5 | 12 | 21-36 | 20 |
| 9.სამტრედია | 22 | 2 | 7 | 13 | 14-35 | 13 |
| 10.კოლხეთი | 23 | 3 | 5 | 15 | 21-54 | 8 |

**შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა**

# რონალდუ მანჩესტერში მოურინიომ დაბლოკა

დიდი შანსი იყო, ტურინის იუვენტუსის პორტუგალიელი თავდამსხმელი, კრიშტიანუ რონალდუ, ამ ზაფხულს მანჩესტერ იუნაიტედში აღმოჩენილიყო.

ინგლისური კლუბის გულშემატკივრები უკმაყოფილონი დარჩნენ რონალდუს გადაწყვეტილებით, როცა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა იუვენტუსი აირჩია. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, საქმე სხვაგვარად გახლდათ.

როდესაც რონალდუმ მადრიდის რეალის დატოვების სურვილი გამოთქვა, მანჩესტერმა მის ტრანსფერზე მუშაობა დაიწყო, მაგრამ ჟოზე მოურინიომ ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ რონალდუს ტრანსფერის თაობაზე შეთავაზება არ გაეკეთებინა.



მოურინიომ აღნიშნა, რომ მისთვის პრიორიტეტი დაცვის ხაზის გაძლიერება იყო და არა შემტევი ხაზის. მიუხედავად ამისა, ამ ზაფხულს ტობი ალდერვეირელდის, ჰარი მაგუაირისა და დიეგო გოდინის სანაცვლოდ გაკეთებული ყველა შეთავაზება დაიბლოკა და მანჩესტერმა ვერც დაცვის ხაზი გააძლიერა.

ბრიტანული მედიის ცნობით, ვუდვორდი მზად იყო, 33 წლის რონალდუს სანაცვლოდ 90 მილიონი გადაეხადა, თუმცა მოურინიო ამ ტრანსფერის წინააღმდეგი გახლდათ.

მანჩესტერელი გულშემატკივრები ისედაც გაბრაზებულნი არიან მოურნიოზე და, ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ, როდესაც გაიგებენ, რომ რონალდუს ტრანსფერი პორტუგალიელმა მწვრთნელმა დაბლოკა.

ამასობაში კი რონალდუმ ახალი კლუბის შემადგენლობაში 3 შეხვედრა ჩაატარა, თუმცა გოლის გატანა ჯერ ვერ მოახერხა. სერია ა-ში 3 ჩატარებული მატჩის შემდეგ, მის ანგარიშზე ნული გოლია.

ამასთანავე, რონალდუმ ანტირეკორდი დაამყარა: მან 23-ჯერ დაარტყა კარის მიმართულებით, თუმცა გოლის გატანა ვერ შეძლო. მის შემდეგ ნანტის ნახევარმცველი ვალენტინ რონჟიეა, რომელმაც 15-ჯერ დაარტყა უშედეგოდ, მესამე ადგილს კი 13 დარტყმით კრისტიან ბენტეკე იკავებს.

მომდევნო მატჩს ტურინული გუნდი 16 სექტემბერს სასუოლოს წინააღმდეგ გამართავს. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა პირადი ანგარიშის გახსნას რეალის ექსფეხბურთელი.

# შედეგები

## 1 სექტემბერი

**<u>ფეხბურთი</u>**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-ლივერპული ........ 1:2
ბრაიტონი-ფულემი ........ 2:2
ვესტ ჰემი-ვულვზი ........ 0:1
კრ.აპალასი-საუთჰემპტონი ........ 0:2
ჩელსი-ბორნმუთი ........ 2:0
ევერტონი-ჰადერსფილდი ........ 1:1
სიტი-ნიუკასლი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 2.ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-3 | 12 |
| 3.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 4.ტოტენჰემი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 5.უოტფორდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 6.ბორნმუთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 7.ევერტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 7-6 | 6 |
| 8.ლესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 9.ვულვზი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 10.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 11.ფულემი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 12.ბრაიტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 13.არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 14.მანჩესტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 15.კრ.პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 16.კარდიფი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| 17.ჰადერსფილდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-10 | 2 |
| 18.ნიუკასლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |
| 19.ბარნლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 20.ვესტ ჰემი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ქპრ ........ 0:0
ბრენტფორდი-ნოტინგემი ........ 2:1
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი ........ 2:1
პრესტონი-ბოლტონი ........ 2:2
რედინგი-უენსდი ........ 1:2
უიგანი-როტერჰემი ........ 1:0
ჰალი-დერბი ........ 1:2
შეფილდი-ასტონ ვილა ........ 4:1
მილუოლი-სუონსი ........ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ატლეტიკო ........ 2:0
რეალი-ლეგანესი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 2.სელტა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 4.უესკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 5.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 7.ესპანიოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 8.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 9.ხეტაფე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 10.ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 11.ხირონა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 12.ლევანტე | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 13.ეიბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.ვალიადოლიდი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 15.ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 16.ალავესი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 17.ვილიარეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 18.ვალენსია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 19.ლეგანესი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 20.რაიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ნუმანსია ........ 3:2

**ლუგოს მესამე გოლი გიორგი აბურჯანიამ გაიტანა**

სარაგოსა-ლას პალმასი ........ 1:1
ელჩე-რეუსი ........ 0:2
კადისი-ოვიედო ........ 1:1
ტენერიფე-დეპორტივო ........ 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ვერდერი ........ 1:2
აუგსბურგი-გლადბახი ........ 1:1
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი ........ 1:3
ნიურნბერგი-მაინცი ........ 1:1
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი ........ 3:1
შტუტგარტი-ბაიერნი ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2.ვოლფსბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3.დორტმუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4.გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 5.ვერდერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.აუსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.მაინცი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.აინტრახტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 9.ჰერტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 11.ჰანოვერი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12.ნიურნბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 13.შალკე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 14.ფორტუნა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.ლაიპციგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |
| 16.ფრაიბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 17.ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 18.შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-რეგენსბურგი ........ 5:3
დუისბურგი-ფიურტი ........ 0:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ინტერი ........ 0:3
პარმა-იუვენტუსი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| 2.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 3.სპალი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.სასუოლო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5.ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| 6.რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 7.უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 9.ჯენოა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 10.ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 6-1 | 3 |
| 11.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 12.ემპოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 13.ბოლონია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 14.ფროზინონე | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 15.ტორინო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16.პარმა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 17.კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 18.სამპდორია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 19.ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20.კიევო | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

კარპი-ჩიტადელა ........ 0:1
პადოვა-ვენეცია ........ 1:0
სპეცია-ბრეშა ........ 3:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიმი-პსჟ ........ 2:4
ანჟე-ლილი ........ 1:0
გენგამი-ტულუზა ........ 1:2
დიჟონი-კაენი ........ 0:2
რეიმსი-მონპელიე ........ 0:1
სტრასბური-ნანტი ........ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 4 | 0 | 0 | 13-4 | 12 |
| 2.დიჟონი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| 3.ტულუზა | 4 | 3 | 0 | 1 | 5-6 | 9 |
| 4.ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 5.მონპელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 6.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-2 | 6 |
| 7.ნიმი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-9 | 6 |
| 8.რეიმსი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| 9.სტ.ეტიენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.კაენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 11.მარსელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 12.მონაკო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 13.სტრასბური | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 14.რენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 15.ნანტი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 16.ნიცა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 17.ამიენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 18.ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 19.ანჟე | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 20.გენგამი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-10 | 0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მეცი-ლანსი ........ 2:0

**ჰოლანდია. ეროვდივიზიონი**

ვენლო-ჰერენვენი ........ 1:1
პსვ-ტილბურგი ........ 6:1
ექსელსიორი-დენ ჰააგი ........ 2:4
სიტარდი-უტრეხტი ........ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-სეტუბალი ........ 0:0
სანტა კლარა-ბოავიშტა ........ 4:2
სპორტინგი-ფეირენშე ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ანჟი ........ 1:0
ცსკა-ურალი ........ 4:0
კრასნოდარი-ლოკომოტივი ........ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ციურიხი ........ 1:0
სიონი-აინგ ბოიზი ........ 0:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-კილმანროკი ........ 0:2
ჰამილტონი-სტ.ჯონსონი ........ 1:2
ლივინგსტონი-ჰიბერნიანი ........ 2:1
დანდი-მოზერველი ........ 1:3
ჰარტსი-სტ.მირენი ........ 4:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-მატერსბურგი ........ 2:1
ინსბრუკი-ჰარტბერგი ........ 2:1
ალტახი-სტ.პოლენი ........ 1:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ეუპენი-სტანდარდი ........ 2:1
ლოკერენი-ბევერენი ........ 1:0
სტ.ტრუიდენი-ოსტენდე ........ 1:0
შარლერუა-მუსკრონი ........ 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანათინაიკოსი-ლამია ........ 3:1
ასტერასი-აეკი ........ 0:1
ატრომიტოსი-ქსანთი ........ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-სივასი ........ 1:1
ფენერბახჩე-ქაისერი ........ 2:3
ალანია-გიოზთეფე ........ 1:0
ტრაბზონი-გალათასარაი ........ 4:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-ბანიკი ........ 0:0
ზლინი-პრჟიბრჟამი ........ 3:0
ბოლესლავი-ტეპლიცე ........ 1:1
ოპავა-იაბლონეცი ........ 2:0
სლავია-პლზენი ........ 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-სოსნოვეცი ........ 2:2
სლასკი-ვისლა ........ 0:1
ლეხი-პიასტი ........ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

შახტარი-მარიუპოლი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-ჰობრო ........ 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტრომგოდსეტი-ტრომსო ........ 2:4
სტაბეკი-სანდერფიორდი ........ 3:3

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

სეინეოკი-კუუპიო ........ 1:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სტოილოვმა დაგვაფასა, მაგრამ ყაზახების სჯერა



უეფას ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე ყაზახეთის ეროვნული გუნდია. ცხადია, აზიელებიც უკვე ემზადებიან ქართველებთან შესახვედრად. ყაზახთა მთავარმა მწვრთნელმა სტანიმირ სტოილოვმა პრესკონფერენცია გამართა. ბულგარელმა სპეციალისტმა ვლადიმირ ვაისისა და საქართველოს ნაკრების შესახებ ისაუბრა.

**სტანიმირ სტოილოვი:**

– ვაისს დიდი ხანია ვიცნობ. ძალიან კარგი მწვრთნელი და დიდებული ადამიანია. სადაც მუშაობდა, ყველგან კარგი შედეგი ჰქონდა. ვფიქრობ, მისი მიწვევით საქართველოს ნაკრებმა კარგი არჩევანი გააკეთა. მწვრთნელთა დაპირისპირება გასახდელში მთავრდება, ხოლო მოედანზე ყველაფერი ყაზახ და ქართველ ფეხბურთელებზე იქნება დამოკიდებული. მოხარული ვარ, რომ მას შევხვდები და იმედია, ძლიერი გაიმარჯვებს. საქართველო კარგად დაკომპლექტებული გუნდია. მცველები თამაშობენ მოსკოვის ლოკომოტივსა და დონეცკის შახტარში.

ასევე ჰყავთ ფეხბურთელები ისეთი ძლიერი გუნდებიდან, როგორებიც გენტი და ანორთოსისია. ქართველები მხოლოდ ნახევარდაცვაში არ არიან ძლიერები. თითქმის ყველა ფეხბურთელი ევროპაში თამაშობს. რუსული გუნდებიდანაც ჰყავთ წარმომადგენლები: ლოკომოტივი, კრასნოდარი, უფა, კრილია სოვეტოვი... თუმცა, ყოველთვის ის არ იმარჯვებს, რომელიც სახელებით უკეთესია. ჩვენ არ გვყავს ლეგიონერები, მაგრამ ყაზახეთის ნაკრებს აქვს პოტენციალი და ფეხბურთელებს შეუძლიათ კარგად თამაში. ახლა ჩვენი მიზანია, რომ დავარწმუნოთ ფეხბურთელები თავის სიძლიერეში და არავის შიში არ უნდა ჰქონდეთ. შესაძლოა, ჩვენ ქულები მოვიპოვოთ საქართველოსთან, მაგრამ დავკარგოთ ანდორასთან... თანამედროვე ფეხბურთში გუნდების დონე გათანაბრდა. გუნდი, რომელიც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს, ის იქნება პირველი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ერთა ლიგაზე პირველ შეხვედრას 6 სექტემბერს, ყაზახეთის ნაკრებთან ასტანაში გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


ცეკვის აკადემია
თელა
გიწვევთ
სამეჯლისო-სპორტული
ცეკვების შესასწავლად




მსურველები მიიღებიან
ასაკობრივ ჯგუფებში;
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან!
მისამართი: აკ.წერეთლის 126
Email: Academytela@yahoo.com
ტელ: 599-77-80-08


# ავსტრალიის სანაპიროზე ორი უზარმაზარი ენა გამოირიყა

ავსტრალიელმა საიდუმლოებით მოცული ორი უზარმაზარი ენა იპოვა და მეცნიერები საგონებელში ჩააგდო.

ქალაქ დარვინის მკვიდრმა ლიამ მერსერმა დაახლოებით 40 სანტიმეტრი სიგრძის ენები პლაჟზე სეირნობის დროს აღმოაჩინა. ამ ორ საგანს შორის მანძილი დაახლოებით 200 მეტრს შეადგენდა და ისინი „სრულიად ახლებივით გამოიყურებოდა“.

– თუ დააკვირდებით, შეგიძლიათ ნახოთ, რომ ისინი მოჭრილია, მაგრამ, საკითხავია, ვის ეკუთვნოდა და აქ როგორ აღმოჩნდა, – განაცხადა ავსტრალიელმა.

ზოოლოგი კეროლ პალმერი ბუნების დაცვის დეპარტამენტიდან ეჭვობს, რომ ნაპოვნი ორგანოები ვეშაპებს ეკუთვნის, თუმცა, იმის გარკვევა – თუ რომელ სახეობას და როგორ დახოცეს ისინი, შეუძლებელია.



პალმერმა დაამატა, რომ ენების ზომების მიხედვით ისინი არცთუ დიდი ზომის ვეშაპებს ეკუთვნოდათ, როგორიცაა ზოლიანი ბრეიდი ან უფრო დიდი სახეობის ვეშაპის ნაშიერებს.

ზოოლოგის ვარაუდით, ისინი, შესაძლოა, დაეხოცათ მკვლელ ვეშაპებს, ნიანგებს ან ზვიგენებს.

# ბუტერბროდმა მატარებელში ჩხუბის პროვოცირება გამოიწვია



ბუტერბროდის გამო მასობრივი ჩხუბი გაიმართა ბრიტანეთის მატარებელში. ეს შემთხვევა ვიდეოზე იქნა გადაღებული და ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ლონდონიდან ბირმინგემში მიმავალ მატარებელში მოხდა. ვიდეოს დასაწყისში ჩანს, რომ გაღიზიანებული ქალი ცდილობს გაარკვიოს, თუ ვინ ესროლა მას ბუტერბროდი.

– შენ მეუბნებოდი, გაჩუმდიო. ასე რომ, აშკარაა, შენ მესროლე ბუტერბროდი. ახლა კი ისეთს გთხლიშავ, რომ მომავალში აღმოჩნდები და მერე მომიყვები, იქ როგორი ამინდია, – ეუბნება ქალი თანამგზავრს.

ამ სიტყვების შემდეგ ქალი მოწინააღმდეგეს თავს დაესხა, ხელი თმებში სტაცა, სილა გააწნა და ბოლოს ძირს დააგდო. ჩხუბში მისი თანამგზავრიც ჩაერთო. მგზავრების უმეტესობა ჩხუბს გაერიდა, თუმცა რამდენიმე მამაკაცი საქმეში ჩაერია და საბოლოოდ მოჩხუბრები გააშველეს.

დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მის უწყებაში სკანდალური ვიდეორგოლი ნახეს.

– ჩვენ აღნიშნულ ინციდენტს ვიძიებთ. ჯერჯერობით არავინ დაგვიკავებია, – განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

# მეთევზემ უიშვიათესი კიბორჩხალა დაიჭირა

ამერიკელმა მეთევზემ უიშვიათესი თეთრი კიბორჩხალა დაიჭირა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მენის შტატის ქალაქ სტონინგტონის მკვიდრმა მაიკ ბილინგსმა თეთრი ომარი რამდენიმე დღის წინ დაიჭირა. მეთევზემ უჩვეულო ნადავლს სურათი გადაუღო და შემდეგ ისევ წყალში გაუშვა, ვინაიდან მეტისმეტად პატარა იყო. აღსანიშნავია, რომ კიბორჩხალის თითქმის გამჭვირვალე კანის ქვეშ შინაგანი ორგანოების დანახვაც კი შეიძლებოდა.



აღსანიშნავია, რომ ბილინგს პირველად არ დაუჭერია უჩვეულო კიბორჩხალა. 2014 წელს მან დაიჭირა ომარი, რომელსაც პატარა ლურჯი ფერის მარწუხები ჰქონდა. მან იმავე წელს კიდევ ერთი უიშვიათესი სახეობის კიბორჩხალა დაიჭირა.

გამოცემის მონაცემების თანახმად, ასეთი მუტაცია 100 მილიონიდან შესაძლოა ერთ კიბორჩხალას აღმოაჩნდეს. ეს ცხოველის საფარველში პიგმენტაციის ნაწილობრივი დაკარგვით აიხსნება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალგაზრდა ამერიკელს ნახევარი საათით ინტერნეტში შესვლა ათასობით დოლარი დაუჯდა




ამერიკული ოჯახი წუხს ოპერატორისგან მისული უზარმაზარი დავალიანების გამო, რომელიც როუმინგში ინტერნეტის გამო მიიღეს.

კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსეს მცხოვრებმა ვივიან ჩანგმა განაცხადა, რომ ოჯახთან ერთად ვიეტნამში გაემგზავრა. მან აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ ინტერნეტით სარგებლობის ღირებულება მისთვის ცნობილი იყო და ამჯობინა, ამ კავშირით საერთოდ არ ესარგებლა.

დასვენების შემდეგ სან-ხოსეში დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მის ოჯახს 13 ათასი დოლარის დავალიანება ჰქონდა. ოპერატორ T-Mobile-ის მონაცემებით, ინტერნეტში შესვლა ჩანგის შვილის ტელეფონიდან განხორციელდა. ქსელში ყოფნის საერთო დრომ დაახლოებით ნახევარი საათი შეადგინა.

– როგორ შეიძლება, რომ ტელეფონის ანგარიშმა 13 ათასი დოლარი შეადგინოს? ნახევარ საათში! ღმერთო ჩემო, კინაღამ გონება დავკარგეთ მოულოდნელობისგან. ეს თანხა ჩვენ მიერ მოგზაურობაში დახარჯულ მთელ თანხას აღემატება, – განაცხადა ჩანგმა. მისი შვილი ამტკიცებს, რომ მოგზაურობის დროს ავიარეჟიმი ჩართო, რათა დანახარჯები თავიდან აერიდებინა.

ოპერატორის წარმომადგენელთან საუბრის შემდეგ T-Mobile დათანხმდა, ანგარიში სამი ათას დოლარამდე შეემცირებინა. ოჯახი კი მიიჩნევს, რომ ეს ანგარიშიც უსაფუძვლოა და უნდა გაუქმდეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სკანვორდი



1... ქერი; 2. ჰიგიენური დაწესებულება; 3. გადასახური მასალა; 4. ... ღალანიძე; 5. სამოსელის ნაწილი; 6. ჰო, დიახ (ინგლისურად); 7. მუშაობის საზომი ერთეული; 8. „... შინა და ... გარეთა“; 9. ოლქი იტალიაში; 10. კონცერტის გასამართი სცენა; 11. ქართულიც, რუსულიც, ინგლისურიც; 12. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 13. რაიმე თანამდებობაზე ასარჩევად ნავარაუდევი პირი; 14. სურათი ზღვის ხედით; 15. ... კუროსავა; 16. მცენარე ჯგუფური ყვითელი ყვავილებით; 17. სახოტბო ლექსი; 18. ბუნებრივი საღებავი; 19. თავდები; 20. ავა ...; 21. განაყოფიერების შედეგად წარმოქმნილი უჯრედი; 22. თილისმა; 23. პარკოსანი კულტურა; 24. ვაგონი; 25. ნაცარტუტაში გამოხარშული ხის სოკო; 26. კაშკაშა მეტეორი; 27. მშიშარა, ყურცქვიტა ცხოველი; 28. ქალაქი გერმანიაში; 29. ოთხიანი კამათელზე; 30. ყვავილი; 31. სიმებიანი ხემიანი საკრავი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტეკილა; 2. ყანჩელი; 3. მისისიპი; 4. სკორსეზე; 8. კოლექტორი; 9. სკაგერაკი; 11. ცემენტი; 12. შუნი; 14. ჟიგა; 16. ყაბალახი; 17. ლანჩხუთი; 19. ბურახი; 21. ოდესა.

**თარაზულად:** 5. სინოპეკი; 6. ინსბრუკი; 7. ველასკესი; 10. ჭიბონი; 13. კვანზა; 15. ინჟენიუ; 18. ტაბორი; 20. ლიკანი; 22. ბურგუნდია; 23. ახალციხე; 24. ესპანეთი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჯოკერი; 2. წოტი; 3. ინდონეზია; 4. გოთუა; 5. ვერსაჩე; 8. ფერაძე; 9. კალანდაძე; 12. რუტერი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

**თარაზულად:** 1. ჯვრისწერა; 6. ანტიგონე; 7. კამფეტი; 9. კესონი; 10. ბანა; 11. კასტელი; 13. კანოე; 15. ლუგელა; 17. ვანდომი; 18. დევიზა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

# ასტროპროგნოზი

3 სექტემბრისათვის



**ვერძი** – პირად ცხოვრებაში პრობლემები გექმნებათ. გონიერებას მოუხმეთ, ნუ იქნებით აგრესიული, წადით კომპრომისზე. **კურო** – ნებისმიერი თქვენი ნაბიჯი კონსტრუქციულია. ჯანმრთელობას არ უჩივით. **ტყუპები** – ძველი პროექტის განსახორციელებლად კეთილისმყოფელი დღეა. ბედი გიღიმით. **კირჩხიბი** – სასიკეთო ცვლილებებს ელოდეთ. პლანეტები გმფარველობენ. **ლომი** – გარისკვა არ ღირს. მოგიწევთ საკუთარი პრინციპების დაცვა. **ქალწული** – ამბიციურობა და აგრესიულობა კარგ სამსახურს არ გაგიწევთ. აკონტროლეთ ემოციები. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლა კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ერიდეთ ხმაურიან საზოგადოებაში ყოფნას. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი დღეა. ნუ იაქტიურებთ. წარსული წყენა სასწრაფოდ დაივიწყეთ. **მშვილდოსანი** – ახალი ნაცნობობა პერსპექტიულია. პირად ცხოვრებაში ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – იყავით თავდაჯერებული, იმოქმედეთ დამოუკიდებლად. დაიცავით ზომიერება. **მერწყული** – ცვალებადი დღეა. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. ერიდეთ კამათში ჩართვას. **თევზები** – იყავით გონიერი და ტაქტიანი. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობისას სიტუაცია მწვავდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# მიხეილ ზაქარიაშვილი ინტელიგენციას აკრიტიკებს

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი ინტელიგენციას აკრიტიკებს და მათი ნაძირლობის უსაზღვრობით გაკვირვებულია:

– ქართველი ვითომ ინწილიგენცია, ყველას არ ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ღირსეული ინტელიგენტები არ გვყავდეს ქართველებს, თქვენ ხართ ქართველი ხალხის ტვინის ამრევები და მოღალატეები, მეტი არაფერი...

ამ ხალხის ნაძირლობას საზღვარი აღარ აქვს, ამ ერის მოღალატეებმა უკან გაიკეთონ ის ყველაფერი – ფილმები, მუსიკა და საერთოდ თუ რამე გაუკეთებიათ ოდესმე! თუ შენ ქვეყანას ღალატობ და საკუთარ ხალხს, თქვენი არაფერი აღარ უნდა არავის!

ახლა გამსახურდიას მიადგნენ, საერთოდ როგორ ახსენებთ თქვენი ბინძური პირის ღრუთი, ხმა ჩაიწყვიტეთ, ნაძირლებო, გამსახურდია მკვლელია? ილიაც მკვლელი იქნებოდა, ცოტა ხანში მაგასაც იტყვით, უნამუსოებო! მოვითხოვ, ეს მართლა სირები, ინტელიგენციას რომ ეძახიან თავის თავს, დაუყონებლივ გასამართლდნენ და გადასახლებულნი იქნან რუსეთში დაუყონებლივ, გაციმბირება უნდა შემოვიღოთ და გავაჯმევინოთ სამუდამოდ ოჯახებიანად.

არ ამოასუნთქეს ერი. სულ თქვენ როგორ უნდა ღუპავდეთ ამ ქვეყანას იმ მიზეზით, რომ რაღაც გაქვთ გაკეთებული საქართველოსთვის. ან რა წაიკითხეთ ისეთი, რომ ერის გაყიდვა გეპატიებათ სამუდამოდ?!

ან ეს გაუთავებელი მეტრაკეების ხსენება რა უბედურებაა, მეტი სადარდებელი არ გვაქვს? ამდენი ტერიტორიების დაკარგვა, ამდენი უცხოტომელის ჩამოსახლება, ხალხი შიმშილობს, ავადმყოფობს, კიბოიანები მომრავლდა, სიკვდილს ებრძვის ხალხი, სულიერება დაიკარგა, ქვეყანაში ეკოლოგიური პრობლემებია, უამრავი მტრის გარემოცვაში ვართ და ესენი „კაშიამ სამკლაური გაიკეთა თურმე და რა გვეშველება?" ასემც უქნია, სტადიონზე გაუჟიმიათ, მე მაგაზე არ ვიდარდო! სულ გამოქლიავდით, ხალხო? იმათ მივმართავ, ვინც ძალიან განიცდის, ვიღაცას ტრაკში რა მოხვდება. სამღვდელოებას მინდა მივმართო, ბავშვებს მიხედეთ, რწმენა რომ დააკარგვინეთ და აბრკოლებთ თქვენი ქცევებით.... ეგ არ გადარდებთ, ხო? და ვიღაცის ტრაკებზე ფიქრობთ? ლგპტეებზე? ესეც თქვენი ბრალია, რწმენა რომ გაგეძლიერებინათ მათთვის, ქართველებად გაგეზარდათ, ახლა ეს თემა არ იქნებოდა საერთოდ საქართველოში! განარკომანდა ახალგაზრდობა, ყოველ დღე წამლით იღუპებიან და თქვენ კაშიას სამკლაური გაღელვებთ, ხო?

ხმა ამოიღეთ! გენოციდს ნუ უწყობთ ქართველ ხალხს თუ ერი და თუ ბერი ხელისუფლებაში! ჩაკეტილები რომ ხართ და საკუთარ ბიზნესებზე ფიქრობთ, მილიონერები რომ ხართ და გაღლეტილ ღარიბ ხალხს მოუწოდებთ შესაწირისკენ, მაგან დაღუპა საქართველო. თქვენ რა, დებილებად თვლით ამ ხალხს?... ყველას ჩვენ- ჩვენი მოგვეზღვება, იცოდეთ და თქვენი დაშინება არ სჭირდება ხალხს. საკუთარი ცოდვებისა გეშინოდეთ...

პოლიტიკაში იმიტომ არ ვერევი, რომ სულ სხვა ცხოვრების წესით ვცხოვრობ, იმიტომ რომ არ მიფიქრია პოლიტიკოსობაზე არასდროს, ქართული და ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანის წესით ვსვამ, ვქეიფობ, ვბილწსიტყვაობ, ხალხს პატივს ვცემ, ვეფერები და სინდის-ნამუსი მაქვს, თქვენგან განსხვავებით, თქვე ჩუმჩუმელა ჩათლახებო თქვენა! ეს რომ არა, ამათ რომ ვუყურებ, აუცილებლად გავერეოდი პოლიტიკაში და ისეთ სიმკაცრეს გამოვიჩენდი მოღალატეების, მექრთამეების, ხალხის გამყიდველების მიმართ, რომ თავადაც გაგიკვირდებოდათ....



ჟურნალისტებს მივმართავ, სწორედ თქვენ უნდა ჩამოაყალიბოთ ახალი ინტელიგენცია, მისაბაძი ხალხი უნდა წარმოაჩინოთ წინა პლანზე, ის ხალხი, რომელმაც იცის, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა ყველა სფეროში და გამოვიდეს ყველანაირი კრიზისიდან ჯანმრთელობის, სულიერების, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ასე შემდეგ! მაგრამ თქვენ რატომღაც ისევ ჩამყაყებული ქართველი სისხლით გამძღარ, გამობრძმედილ მოღალატეობაში წითელ ინწილიგენციას უკეთებთ რეკლამირებას და მათ ნაშიერებს, რომლებიც საამაყოდ აგრძელებენ მათი წინაპრების მოღალატეობრივ არსებობას, ამიტომ არ მჯერა თქვენი არაფერი...

იმდენი ნიჭიერი ხალხია, თუ თქვენ ვერ ცნობთ, არ იცნობთ თქვენ გარშემო ასეთ ადამიანებს, მე დაგეხმარებით! კომუნისტებმა თავის დროზე თავიანთთვის გაზარდეს და დღემდე იყენებენ მათი ინტერესების გამტარებელ ხელოვანებს, მისცეს ყველანაირი პრივილეგია იმ შემთხვევისთვის, რომ როცა დასჭირდებოდათ, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სწორედ მაშინ გამოიყენებდნენ! მათაც იცხოვრეს ქვეყნის გაყიდვით მოპოვებული ქონებით და ბევრჯერ გაყიდეს ჩვენი ერი, ჯილდოდ კი გადააღებინეს ფილმები, აწერინეს მუსიკა, აბეჭდვინეს წიგნები, მისცეს სახლები, მანქანები, ყველანაირად ხელი შეუწყვეს, რომ ხალხს შეჰყვარებოდა ეს ერის მოღალატენი...

თქვენც სცადეთ და აღმოაჩინეთ ნიჭიერი, ერზე შეყვარებული ხალხი და მათ გაუკეთეთ რეკლამირება, ჩამოაყალიბეთ ნორმალური, მისაბაძი საზოგადოება. ეს არის პირველ რიგში თქვენი მისია. ათასი რჯულის სულიერად ავადმყოფებს რომ დასცინით, მხოლოდ ფულზე რომ ხართ დახარბებულნი და მაშინ დავიჯერებ თქვენს პროფესიონალიზმს.

## ანა ჩუბინიძის „ჯიბის კაცი" ჰიროშიმას ანიმაციური ფესტივალის ჟიურიმ დააჯილდოვა



ქართველი ანიმატორის ანა ჩუბინიძის ნამუშევარი „ჯიბის კაცი" ჰიროშიმას საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალის ჟიურის პრიზის მფლობელი გახდა.

„ჯიბის კაცმა" რიგით მეოცე პრიზი დაიმსახურა. მთლიანობაში ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი 80 საერთაშორისო ანიმაციურ ფესტივალზე მიიწვიეს.

ეს არის პირველი ქართულ-ფრანგულ-შვეიცარიული ანიმაციური კოპროდუქცია და ის 10 თვის განმავლობაში იქმნებოდა. ფილმმა არაერთ პრესტიჟულ კინოფესტივალში მონაწილეობა და მთავარი პრიზების მოგება უკვე მოასწრო.

„ჯიბის კაცი" საერთაშორისო მაყურებლის წინაშე პირველად ნიუ იორკის საბავშვო ფილმების ფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში წარდგა, წარმატებული მსოფლიო პრემიერის შემდეგ კი მონრეალის კინოფესტივალზე 2 ჯილდოს მოპოვება შეძლო. ამჯერად ანიმაციამ ჰიროშიმას ანიმაციური ფესტივალის ჟიურის მოწონება დაიმსახურა.

**ანა ჩუბინიძე:**

– არ მჯერა! „ჯიბის კაცის" მეოცე პრიზი ჰიროშიმას ანიმაციური ფესტივალის საერთაშორისო ჟიურისგან.

## უცხოურმა ტურისტულმა სააგენტომ საქართველოზე სპეციალური ვიდეორგოლი მოამზადა



უცხოურმა ტურისტულმა კომპანიამ „მასთ დუ თრეველსმა" საქართველოზე სპეციალური ვიდეორგოლი მოამზადა და მასში საქართველოს ულამაზესი კუთხეები გააერთიანა.

საბედნიეროდ, უცხოური ტურისტული სააგენტოები სულ უფრო ხშირად უძღვნიან ვიდეორგოლებს საქართველოს და მოუწოდებენ ტურისტებს, აუცილებლად შეიყვანონ ჩვენი ქვეყანა მათ სამოგზაურო ქვეყანათა ჩამონათვალში.

გავრცელებული ვიდეოების წყალობით, ათასობით ტურისტი ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში და ულამაზეს ღირსშესანიშნაობებს, ეკლესია-მონასტრებსა თუ საქართველოს გამორჩეულ კუთხეებს სტუმრობს.

მასთ დუ თრეველსმა საქართველოზე მომზადებულ ვიდეორგოლში სვანეთი, ხევსურეთი, აჭარა, ულამაზესი ვარძია, მუცო, ბათუმი, თბილისი და ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ადგილები გააერთიანა.

ვიდეოს ინტერნეტში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მას უამრავი ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

## თაკო ნაცვლიშვილს ვიქტორია სეკრეტში მონაწილეობაზე ისევ უარი უთხრეს




ქართველ მოდელ თაკო ნაცვლიშვილს უკვე მეორედ უთხრეს უარი ვიქტორია სეკრეტის შოუში მონაწილეობაზე.

მოდელმა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა პირველად შარშან ცადა, სადაც მეორე ტურში გადავიდა, თუმცა რჩეულთა შორის ვერ მოხვდა.

წელს თაკოს უარი პირდაპირ პირველივე ტურში გამოუცხადეს და ვიქტორია სეკრეტის შოუს მიღმა დატოვეს.

# „ღამის სერენადებმა" თბილისში გადმოინაცვლა




საერთაშორისო მუსიკალურმა ფესტივალმა „ღამის სერენადებმა" ბათუმიდან თბილისში გადმოინაცვლა.

ბათუმში გამართული სამი კონცერტის შემდეგ თბილისელ მსმენელს ორი დაუვიწყარი საღამო ელოდება.

„ღამის სერენადების" ბათუმურ საღამოებში მონაწილეობდნენ ალექსანდრე კორსანტია, ვახტანგ მაჭავარიანი, გია იაშვილი, გეზა ჰოსზუ ლეგოცკი, სოფია ბოროსი, მარიო სტეფანო პიეტროდარჩი, კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი... წლევანდელი ფესტივალის საბაზო ორკესტრია კამერული ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები". ღონისძიებაზე, სადაც სოსო ბარდანაშვილის „სერენადა" შესრულდა, ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ ცნობილი კომპოზიტორი, რომელსაც საპატიო ბათუმელის წოდება უკვე აქვს მინიჭებული, დამსახურებული მოღვაწის წოდებით დააჯილდოვა.

ლიანა ისაკაძის მიერ დაფუძნებული მუსიკალური ფესტივალი თბილისში კონსერვატორიაში ჩატარდება. კონცერტებზე აჟღერდება იოსებ ბარდანაშვილის „სერენადა" ვიოლინოსა და კამერული ორკესტრისთვის და შესრულება კომპოზიტორის 70 წლის იუბილეს მიეძღვნება. კონცერტის მეორე ნაწილი დაეთმობა გია იაშვილის პროექტს „ოპერა-ფანტაზია". ეს არის პოპულარული არიები, გადამუშავებული ვიოლინოსა და სიმებიანებისთვის.

ფესტივალის დასკვნით დღეს კი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია შეასრულებს გალინა უსტვოლსკაიას საფორტეპიანო კონცერტს, რომლის პრემიერაც საქართველოში სწორედ „ღამის სერენადების" ფარგლებში შედგება.

ფესტივალი „ღამის სერენადები" 1982 წელს, ცნობილი ქართველი მევიოლინისა და დირიჟორის, მუსიკოსის ლიანა ისაკაძის ინიციატივით, აფხაზეთში დაარსდა. 1991 წელს ფესტივალმა არსებობა შეწყვიტა. მისი აღდგენა მხოლოდ 18 წლის შემდეგ, 2009 წელს, ქალაქ ბათუმში გახდა შესაძლებელი. „ღამის სერენადების" უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი კვლავ ლიანა ისაკაძეა. წელს ფესტივალს სამხატვრო ხელმძღვანელობას, ლიანა ისაკაძესთან ერთად, მისი ძმისშვილი, გერმანიაში მოღვაწე მუსიკოსი გიორგი ისაკაძე გაუწევს, რომელიც ქალაქ ინგოლშტადტში მუსიკალური სასწავლებლის და ასევე, მიუნხენში, ცეკვისა და მუსიკის აკადემიის დამაარსებელი და ხელმძღვანელია. წლების განმავლობაში ფესტივალისადმი დიდმა ინტერესმა განაპირობა მისი გეოგრაფიის გაფართოება, რის გამოც 2015 წლიდან მას უკვე ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალი ეწოდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ტელეფონით გართულ დედას შვილი კინაღამ აუზში დაეხრჩო



ჩინეთის ფუცზიანის პროვინციის ქალაქ ფუჩჟოუში დედამ ერთ წუთზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ შეამჩნია, რომ მისი გოგონა აუზში იხრჩობოდა.

ერთი წლის გოგონა აუზზე მისი დაბადების დღის აღსანიშნავად მიიყვანეს. როდესაც დედამისი მობილური ტელეფონით გაერთო, ამ დროს მაშველი რგოლი, რომელიც ჩვილ გოგონას ეკეთა, გადატრიალდა და ბავშვი თავით წყალქვეშ აღმოჩნდა.

ქალი ტექსტურ შეტყობინებას წერდა და მომხდარი არ შეუმჩნევია. მისი ყურადღების მიქცევას მეორე ბავშვი შეეცადა, მაგრამ მან ხელის აქნევით მოიშორა. ამ დროს აუზის თანამშრომლებიც არ იმყოფებოდნენ ადგილზე, ამიტომ იმ მომენტში მოზრდილთაგან ადგილზე არავინ იმყოფებოდა.

თითქმის წუთ-ნახევარი გავიდა, სანამ ქალი მიხვდებოდა, რომ მისი შვილი იხრჩობოდა. მან ბავშვი წყლიდან ამოიყვანა და შეეცადა, მისთვის ხელოვნური სუნთქვა ჩაეტარებინა, შემდეგ კი სასწრაფოდ დატოვა აუზი.

20 წუთის შემდეგ მან ბავშვი საავადმყოფოში მიიყვანა. იმ დროისთვის გოგონა უკვე აღარ სუნთქავდა. მას გული გაუჩერდა. ექიმებმა მისი რეანიმირება შეძლეს, თუმცა ბავშვი უგონო მდგომარეობაში რჩება. ის საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. აუზის მენეჯერმა სამედიცინო ხარჯების ნაწილის ანაზღაურებაზე მზადყოფნა გამოთქვა.

### ზოოპარკიდან დაკარგული მაიმუნი „მაკდონალდსში" იპოვეს



შვედეთში ზოოპარკიდან დაკარგული მაიმუნს უახლოეს „მაკდონალდსში" მიაგნეს. ცხოველი რესტორნის მომხმარებლებს საჭმელს უჭამდა.

ზოოპარკიდან 15 კილომეტრში მებარე სწრაფი კვების რესტორანის გაოცებულმა მომხმარებლებმა ცხოველი ვიდეოზე გადაიღეს. გიოლდის სახეობის მაიმუნი ხტუნვა- ხტუნვით მაგიდიდან მაგიდაზე გადადიოდა და მომხმარებელთა ხელიდან კარტოფილ ფრისა და ვაშლის ნაჭრებს შეექცეოდა. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ცხოველი უკანვე, ზოოპარკში დააბრუნეს.

პოლიციის ოფიცერმა პეტერ ნორდენგრადმა დაადასტურა, რომ ცხოველი ზოოპარკიდან მისი „მაკდონალდსში" გამოჩენამდე დაახლოებით ერთი დღით ადრე დაიკარგა.

– ჩვენ ვეჭვობთ, რომ ის რესტორანში ვიღაცამ მიიყვანა. ეს ყველაზე სავარაუდო ვერსიაა, – განაცხადა პოლიციის ოფიცერმა.

ზოოპარკის წარმომადგენლებმა სინანული გამოხატეს ინციდენტის გამო, თუმცა იქვე მადლობა გადაუხადეს რესტორნის თანამშრომლებს ცხოველზე მზრუნველობისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**3 სექტემბრისთვის**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.5789 |
| ევრო | 3.0078 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3539 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7956 |

**ამინდის პროგნოზი 3 სექტემბრისთვის**




## მყვინთავი კინალამ ზვიგენმა შეისრუტა

მყვინთავი, რომელსაც ზვიგენების პანიკური შიში ტანჯავს, კინალამ ზღვის მტაცებლის ხახაში აღმოჩნდა.

ინციდენტი ფილიპინების სანაპიროსთან მოხდა. 49 წლის ნორვეგიელი გეირ იოჰანსონი აკვალანგით ყვინთვით იყო დაკავებული, როდესაც მას მოულოდნელად ვეშაპისებური ზვიგენი მიუახლოვდა. მამაკაცმა არ იცოდა, რომ ამ სახეობის ზვიგენი ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ამიტომ ძალიან შეშინდა. ამასთან, უზარმაზარი თევზი პლანქტონს ეძებდა და ამისთვის ერთ ჯერზე ათ ლიტრ წყალს ისრუტავდა. სწორედ ამ დროს აღმოჩნდა მყვინთავი ზვიგენის დაღებული ხახის წინ და დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა თავის დაღწევა.



– როდესაც ჩავყვინთე და ზვიგენი დავინახე, კინალამ გულის შეტევა დამემართა. შევეცადე, მაქსიმალურად შემენარჩუნებინა სიმშვიდე, ვინაიდან გვასწავლიდნენ, რომ ისინი არ უნდა გაგვეღიზიანებინა. მან შემომხედა და თითქოს მითხრა: „ჩემი საკვებისგან თავი შორს დაიჭირე". შემდეგ კი ორჯერ მიბიძგა, პირი ფოლადივით მაგარი ჰქონდა, – გაიხსენა ნორვეგიელმა, რომელმაც იქვე აღნიშნა, რომ პირველად ჩაყვინთა აკვალანგით, ვინაიდან ზვიგენების ეშინია.

## მონადირეები თეთრი დათვების შემოტევებს ექვსი დღე სროლით იგერიებდნენ



კანადის ტერიტორია ნუნავატუში თეთრი დათვის თავდასხმის შედეგად ადამიანი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საagენტო ავრცელებს.

ჩრდილოეთის სოფელ რეპალს-ბეის სამი მცხოვრები ირემზე სანადიროდ გაემართა. ორი დღის შემდეგ, როდესაც ისინი საკუთარ კარავში ჩაის სვამდნენ, მათ თეთრი დედა დათვი მიადგა ბელთან ერთად. ერთ-ერთი მონადირე შეეცადა, ცხოველი ჰაერში სროლით შეეშინებინა და გაეგდო, თუმცა მტაცებელმა მას ყურადღება არ მიაქცია. ის ჯერ მის ერთ მეგობარს ჩააფრინდა კბილებით თავში, შემდეგ კი მეორეს ეცა. მონადირე კიდევ ერთხელ შეეცადა, გაესროლა, მაგრამ თოფმა გაუჭედა. მაშინ მეორე თოფს ეცა და ცხოველი მოკლა.

ყველაზე მეტად დაშავდა მამაკაცი, რომელსაც დათვმა თავზე უკბინა. დანარჩენებმა მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები მიიღეს. ისინი შეეცადნენ, მეგობარს დახმარებოდნენ, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. მისი ცხედარი ბრეზენტში შეახვიეს და მაშველების მოსვლას დაელოდნენ. მალე მათ შორიახლოს კიდევ რამდენიმე დათვი გამოჩნდა. მონადირე, რომელმაც დედა დათვი მოკლა, მტაცებლების მათთან მიახლოებას აღარ დაელოდა და ყველა დახოცა.

– მეგობარს ვუთხარი, რომ სისხლის სამართლის დანაშაულს საკუთარ თავზე ვიღებდი ყოველ ჩემ მიერ მოკლულ დათვზე, – განაცხადა მან.

მტაცებლებთან მეორე შეტაკების შემდეგ მონადირეებმა თავი ნავს შეაფარეს. მეექვსე დღეს ისინი შვეულმფრენიდან შენიშნეს, რომელიც ყინულმჭრელი გემიდან გამოფრინდა მათ დასახმარებლად. მაშველებს მონადირეებმა დაღუპული მეგობრის ცხედრის გარეშე გაყოლაზე უარი უთხრეს. შვეულმფრენზე დაღუპული მონადირის ცხედრის მოსათავსებლად სამი ადამიანის დახმარება გახდა საჭირო.

## მამამ შვილი, რომელიც თავით ეცემოდა, ბოლო წამს გადაარჩინა



აშშ-ში მამამ ბოლო წამს მოასწრო ბავშვის დაჭერა, რომელიც საწოლიდან იატაკზე თავით უნდა დაცემულიყო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესში მოხდა. ვიდეორგოლი სახლში დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ გადაიღო.

ვიდეოს კადრების დასაწყისში ჩანს, რომ ბავშვი საწოლიდან დგება. ამ დროს ხმაურზე ოთახში მამა შემოდის და სინათლეს ანთებს. მოულოდნელად ბავშვი საწოლიდან გადმოსვლას გადაწყვეტს, საწოლის მოაჯირზე აიწევა და თავით გადმოეშვება. მამამ მისი იატაკიდან რამდენიმე სანტიმეტრში დაჭერა მოასწრო. ამის შემდეგ მან შეშინებული ბავშვი ჩაიხუტა, მოეფერა და დაამშვიდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## იუმორი

ქართველი ახალგაზრდა გერმანელ თანატოლს ეკითხება:

– ვინ არიან შენი მშობლები?

– ვერ მიგიხვდი კითხვის აზრს?

– აი მე, მაგალითად, დედაჩემს ლეილა ჰქვია, მამაჩემს კი ლევანი. და შენ მშობლებს რა ჰქვიათ?

– ანა-მარია-ტერეზა და ჰანს-უვე-ვიქტორი.

– რა ამბავია, რა, ორმა ვერ შეძლო?..

•••

ლოთი აფთიაქში გამყიდველს ეუბნება:

– ნახევარი ლიტრი სპირტი მინდა.

– რეცეპტი გაქვთ?

– როგორ არა. აი: „ავიღოთ ნახევარი ლიტრი სპირტი, დავამატოთ 750 გრამი ანადუღარი წყალი, ორი კოვზი შაქრის ფხვნილი, ჩავყაროთ ლიმონის ქერქები და ერთი კვირა გავაჩეროთ.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმრის ტელეფონში ნომერი ვნახე „წვნიანის შეკვეთა".

– მერე რა ქენი, გაარკვიე ვისი ნომერია?

– როდესაც დავრეკე და ჩემი ტელეფონი ახმაურდა, მისი ტელეფონი კინალამ წვნიანში ჩამივარდა...

•••

ავტოსახელოსნოში ხელოსანი გოგონას ეუბნება:

– გოგონი, თქვენ ხომ ერთი საათის წინ დამირეკეთ და მითხარით, რომ მანქანას მხოლოდ კაპოტი აქვს დაზიანებულიო?

– დიახ, მასე იყო.

– მერე, ვუყურებ და მარტო კაპოტი კი არა, კარიც, საქარე მინაც და ცალი ფარიც დამტვრეულია!

– ნუ, სანამ აქამდე მოვაღწიე...

•••

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– დამისახელე გადაშენების პირას მყოფი ძუძუმწოვრები:

– მარტორქა, ამურის ვეფხვი, დიდი პანდა, უსვირინგო გოგონები...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# ბოაი




ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე ვადაში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

**მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2**
**ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.**


## ფრანგი მეთევზეები ბრიტანელებს თავს დაესხნენ და გააქციეს



ლა მანშის სრუტეში საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის თევზმჭერ გემებს შორის შეტაკება მოხდა, რომელიც საბოლოოდ ბრიტანელი მეთევზეების გაქცევით დასრულდა.

კონფლიქტი საერთაშორისო წყლებში მოხდა საფრანგეთის სანაპიროდან თითქმის 12 საზღვაო მილის (22 კილომეტრი) დაშორებით. ხუთი ბრიტანული ხომალდი ზღვის ორსაგდულიანი მოლუსკების ჭერით იყო დაკავებული, როდესაც ისინი ათეულობით ფრანგული ნავების გარემოცვაში აღმოჩნდნენ.

ფრანგმა მეთევზეებმა ბრიტანელებს ჯერ ლანძღვა-გინება დაუწყეს, შემდეგ კი ქვები და ლითონის საგნები დაუშინეს. საფრანგეთის პოლიციის მონაცემებით, ბრიტანელმა მეთევზეებმაც იმავეთი უპასუხეს.

მართალია, ბრიტანელების ხომალდები უფრო მოზრდილები იყო, მაგრამ ფრანგები მათ რაოდენობით აღემატებოდნენ. შეხლა-შემოხლის შემდეგ ბრიტანელებმა ინციდენტის ადგილი სასწრაფოდ დატოვეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, თუმცა გემებმა მცირე დაზიანებები მიიღეს.

ბრიტანეთის ხელისუფლებამ უარი თქვა მეთევზეების დასახმარებლად სამხედროების გაგზავნაზე, ვინაიდან კონფლიქტი საერთაშორისო წყლებში მოხდა, თუმცა, ამავე დროს, მათ ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ბრიტანულ ხომალდებს მოლუსკების იმ ადგილებში ჭერის სრული უფლება ჰქონდათ. თავის მხრივ, საფრანგეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ახალი დაპირისპირების აღსაკვეთად კონფლიქტის ზონაში პოლიციის დანაყოფებს გააგზავნის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. სპორტული შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი; 4. ქარისგან შეგროვილი თოვლი; 7. სახლის უფროსი სვანეთში; 9. დრეკადი ნივთიერება; 11. ჭუჭრუტანიდან შემოსული მზის სხივი; 12. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე; 13. გარეგანი ზემოქმედებით ორგანიზმის დაზიანება; 17. ერთად შეყრილი ხალხი; 18. ქალაქის თავი; 19. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა; 20. პარტიზანი საფრანგეთში.

**შვეულად:** 1. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 2. გრძელი, უტარო მათრახი; 3. მზით ხშირად განათებული ადგილი; 5. ქელეხი; 6. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი გადმოცემა; 8. ქრისტეს მონათვლა; 10. კანის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 12. შხამი, საწამლავი; 14. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 15. რისამე ზღვრული ნორმა; 16. ხელოვნებაში, შემოქმედებაში მხატვრული თავისებურებანი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

